პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 186 (20227) — პარასკევი, 12 აგვისტო, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

პარტიული აპარატის გარდაქმნა

მის მუშაობას უნდა ახასიათებდეს საჯაროობა, გულისხმიერება, მასებთან კავშირი

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ისტორიული მომენტის მთავარი თავისებურება, აღინიშნა XIX საკავშირო პარტკონფერენციაზე, ის არის, რომ არა მარტო საქმიანობის შინაარსით, არამედ მეთოდებითაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთლიანად შეესაბამებოდეს საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის ლენინურ კონცეფციას. ამასთან დაკავშირებით კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია კარდინალურად გარდაიქმნას პარტიის, ყველა მისი რგოლის მუშაობა ახალ ამოცანებთან მისადაგებით.

სერიოზული რეორგანიზაცია და განახლება შეეხება, რა თქმა უნდა, აპარატსაც, რომლის მეშვეობით არჩევითი პარტიული ორგანოები ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და აღმზრდელობით ფუნქციებს, მუშაობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისა და შესრულების შემოწმებისათვის, ეხმარებიან პარტიის ქვემდგომ რგოლებს.

ამ ამოცანის პრაქტიკულ რეალიზაციაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება „პარტიული აპარატის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესახებ“. მასში გათვალისწინებულია პარტიული კომიტეტებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ფუნქციების ზუსტი და თანამიმდევრული გამიჯვნა, მათ მუშაობაში პარალელიზმისა და დუბლირების აღკვეთა, პარტიული აპარატის სტრუქტურის რადიკალური შეცვლა და ხარისხის გაუმჯობესება, პარტიის არჩევითი კოლეგიებისადმი მისი მკაცრი დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება.

ამრიგად, მოგველის დიდი, პასუხსაგები და, რაც საგულისხმოა, გადაუდებელი მუშაობა. უკვე წლევანდელ შემოდგომაზე, წლის დამლევამდე, უნდა განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების აპარატის რეორგანიზაცია. ამასთან არსებითად უნდა შემცირდეს მუშაკთა საერთო რიცხვი.

როგორც ცნობილია, პლენუმის დადგენილებით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დაევალა განიხილოს და დაამტკიცოს ცენტრალური კომიტეტის აპარატის ახალი სტრუქტურა და განსაზღვროს ადგილობრივი პარტიული ორგანოების აპარატის ძირითადი რგოლები. პარტიული კომიტეტებისა და დაწესებულებების ყველა სტრუქტურულ-საშტატო საკითხი ფუნქციათა შეცვლის გათვალისწინებით ადგილებზე გადაწყდება. ამ მუშაობას რომ დავამთავრებთ, მუდამ თვალთახედვის არეში უნდა გვქონდეს მისი მთავარი მიზანი — პარტიული კომიტეტების მიერ განხორციელებული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხასიათის გაძლიერება, მბრძანებლურ-ზემოქმედებითი მეთოდების საბოლოო უარყოფა, პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

წარსულს ბარდება დრო, როცა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში პარტიულ აპარატს ეგონა, რომ უფლება აქვს მბრძანებლობდეს ყველასა და ყველაფერს, როცა პოლიტიკური ლიდერის ნამდვილი ავტორიტეტის ნაცვლად ზედმეტად ჭარბობდა „თანამდებობის ავტორიტეტი“, „სავარძლის კულტი“. მაგრამ თუ სარედაქციო ფოსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, აპარატის მუშაკთა მბრძანებლური სტილის, ბიუროკრატიული დიქტატის, სამეურნეო ორგანოების, მეცნიერების, კულტურის დაწესებულებების საქმიანობაში არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო ჩარევის რეციდივები ჯერ კიდევ ხშირად იჩენს თავს. აი რატომ არის ახლა საჭირო, რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ „ზემოქმედების“ მანკიერი პრაქტიკა, ყურადღებით შევისწავლოთ და განვაზოგადოთ ახალ პირობებში პარტიული მუშაობის გამოცდილება, საერთო კუთვნილება გავხადოთ მისი საუკეთესო ნიმუშები. აპარატის მუშაობა სულ უფრო უნდა გამოირჩეოდეს საჯაროობით, კრიტიკული განწყობით, მასებთან ყოველდღიური კავშირით.

ამასთან დაკავშირებით სასარგებლოა ყურადღება მივაპყროთ პარტიული კომიტეტების უდარგობრივო მუშაობის შედეგებს, რომელიც უკვე საკმაო ხანია წარმოებს ექსპერიმენტის სახით მოსკოვის, მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების რამდენიმე რაიკომში.

აი, მაგალითად, რა შეფასება მისცეს კომუნისტებმა პარტიის ორსკის ლენინის რაიკომის აპარატის ახლებურად მუშაობას. ჯერ ერთი, „უსაამქრო“ სტრუქტურამ ბოლო მოუღო ვითარებას, როცა თითოეული განყოფილება, ხოლო მისი მეშვეობით — შესაბამისად რაიკომიც, ცხოვრებასა და მას პრობლემებს ვიწრო დარგობრივი სარკმლიდან უყურებდა; მეორე, ნამდვილად წარმოჩნდა ინსტრუქტორის ფიგურა, რომელიც საქმით ხდება პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი და არა ხელის ბიჭი. მესამე, უფრო სწრაფად აღმოიფხვრება ძველი სტილის ატრიბუტები — სხდომობანა, ქაღალდომხზველობა, ტელეფონით ხელმძღვანელობა. ამის ნაცვლად მკვიდრდება ადამიანებთან ცოცხალი პოლიტიკური მუშაობა, რომელიც მოითხოვს საკმაო ცოდნას, დარწმუნების უნარს და გულისხმიერებას.

ერთი სიტყვით, უპირატესობანი ცხადია, მაგრამ პასუხისმგებლობაც მატულობს. წინასწარ შევისწავლოთ ექსპერიმენტის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები — ეს ნიშნავს შევამსუბუქოთ აპარატის გარდაქმნა, უზრუნველვყოთ მისი წარმატებული მუშაობა.

ბევრ რამეს ამ საქმეში განსაზღვრავს საკადრო შემადგენლობის დონე და მომზადება. ადგილებიდან მოსულ ცნობებში არის ფაქტები, [illegible] პარტიული აპარატის ზოგიერთი მუშაკი, მათ შორის ხელმძღვანელი მუშა[illegible] [illegible] გამო გაუბედ[illegible] [illegible] ზოგჯერ [illegible] ისაქმეიან [illegible]. მაგალითად, [illegible] მხარეში ლამის ერთდროულად გადადგომა მო[illegible] პარტიული კომიტეტების რიგი მდივანმა, რომლებიც პასუხს აგებენ იდეოლოგიური მუშაობისათვის. მთელ რიგ ამგვარ შემთხვევებში თავს იჩენს შიშიც მომავალი მუშაობის მასშტაბისა და სიღრმის წინაშე, და ცოდნისა და ჩვევების საკუთარი ბაგაჟის შეზღუდულობის, დროის სულისკვეთებისა და მოთხოვნილებისადმი მათი შეუსაბამობის გაგებაც.

უპირველესად ეს პარტიულ კომიტეტებს, მათ ბიუროებს, სამდივნოებს ავალებს მეტი ყურადღება დაუთმონ აპარატში მუშაკთა შერჩევასა და დაწინაურებას. მთავარი კრიტერიუმია პოლიტიკური სიმწიფე, კომპეტენტურობა, მაღალი მორალური თვისებები, იმის სურვილი და უნარი, რომ ახლებურად იმუშაონ. აპარატში ახალი ძალების მოსვლას, პარტიული ხელმძღვანელობის სხვადასხვა რგოლის განმტკიცებას, უდავოდ, ხელს შეუწყობს ანგარიშგება-არჩევნები, რომელიც პარტიაში იწყება.

პარტიულ აპარატში მუშაკთა დაწინაურების აუცილებელი პირობა ამიერიდან ხდება პირველადი პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაცია. სხვათა შორის, მას უფლება აქვს დასვას კიდეც თანამდებობიდან მის მიერ რეკომენდებული კომუნისტის განთავისუფლების საკითხი, თუ იგი ვერ გაამართლებს ნდობას. ეს არსებითად აძლიერებს მუშაკის პასუხისმგებლობას არა მარტო არჩევითი ორგანოს წინაშე, რომლის აპარატშიც იგი მუშაობს, არამედ კომუნისტთა წინაშეც, რომლებმაც იგი დააწინაურეს.

სტრუქტურულ, საკადრო, ფუნქციურ გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიული კომიტეტების აპარატის პირველადმა პარტორგანიზაციებმა. აბა, ვინ უნდა უჭერდეს მხარს და ავითარებდეს მუშაკთა ინიციატივას, ამკვიდრებდეს კოლექტივში პარტიული ამხანაგობის ვითარებას, ყველა კომუნისტის თანასწორობას სკკპ წესდების წინაშე, აღმოფხვრიდეს ბიუროკრატიზმის ელემენტებს, დიდგულობის, მაამებლობის, კომუნისტური ყოყოჩობის გამოვლინებებს, თუ არა ისინი.

გარდაქმნის პროცესში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ აპარატის გამოთავისუფლებულ მუშაკებს. მათი უმრავლესობა არიან ადამიანები, რომლებსაც პარტიული, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ, სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ საქმის ორგანიზაცია. ბევრი მათგანი, უდავოდ, შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობის, წარმოების მნიშვნელოვანი უბნების განმტკიცებისათვის. ისინი თავიანთ ადგილს იპოვიან სახალხო დეპუტატთა საბჭოების აპარატშიც, სახალხო კონტროლის ორგანოებშიც.

პარტიული აპარატი პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებისაგან განთავისუფლება, სიმძიმის ცენტრის გადატანა ხელმძღვანელობის პოლიტიკურ მეთოდებზე მას გარდაქმნის აქტიურ ძალად აქცევს.

ПРАВДА — 11 აგვისტოს მოწინავე.

კოლხეთის საკვები მინდვრები

ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜ მეურნეს ზამთარში პრობლემები არ ექნება, თუ დროულად იზრუნებს საკვებით ფერმების უზრუნველყოფისათვის. ამიტომ ახლა დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში მაქსიმალურად იყენებენ ყოველ დარიან დღეს, რათა საიმედო საფუძველი შეუქმნან პირუტყვის წარმატებულ გამოზამთრებას. იმის შესახებ, თუ როგორ არის საქმე ადგილებზე, გვესაუბრებიან:

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი **რაულ ჯახია**: — უკვე დავამზადეთ ხუთი ათასი ტონა სამყურა. ოქტომბრის დამლევამდე მოვიმარაგებთ ერთნახევარჯერ მეტს. საკვებმომპოვებელთა და მეცხოველეთა მუშაობას სტიმულს აძლევს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საიჯარო ფორმები, რომლებიც ყველგან არის დანერგილი. მეცხოველეობაში, მაგალითად, შეიქმნა რვა საიჯარო ბრიგადა. მათ გადაეცით დაახლოებით 500 სული საქონელი, საკვები სავარგულები, ტექნიკა. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მათ უნდა ჩააბარონ სახელმწიფოს ხ[illegible] საგეგმო რა[illegible] ხოლო ის, რა[illegible] [illegible]ლების გადაჭარბებით [illegible], შეუძლიათ თვითონ დაიტოვონ. გარდა ამისა, კოლმეურნეობა ზომიერი ფასებით გამოუყოფს მათ საკვებს პირადი დამხმარე მეურნეობებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი **არნოლდ ქვანია**: — რაიონში საკვებ კულტურებს გამოვუყავით 2800 ჰექტარი, აქედან სასილოსე სიმინდს — 550 ჰექტარი. სხვათა შორის, მისი აღება ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დავიწყეთ და გეგმით გათვალისწინებული 13.000 ტონიდან უკვე დავამზადეთ 4793 ტონა. გადაჭარბებით შევასრულეთ სენაჟის ჩადების გეგმა. ვაპირებდით დაგვემზადებინა 3000 ტონა სენაჟი, სინამდვილეში კი დავამზადეთ 125 ტონით მეტი. თივასა და ჩალას ოქტომბრის დამლევამდე მოვიმარაგებთ. ჩვენთან ურიგოდ როდია მეცხოველეობის საქმე. ყოველდღიურად ვაბარებთ თერთმეტ ტონა რძეს — შარშანდელ მაჩვენებელზე ერთი ტონით მეტს. ხორცის გეგმასაც გადაჭარბებით ვასრულებთ. დასამზადებელ პუნქტებში გავგზავნეთ 1032 ტონა ხორცი, რაც 34 ტონით აღემატება შარშანდელს. და ბოლოს, უნდა ითქვას, თუ რა გზით მივაღწიეთ ზოგიერთ წარმატებას. მთავარი ფაქტორია საიჯარო კოლექტივების მუშაობა. ჩვენთან 50 ასეთი კოლექტივია შექმნილი. წარმატებით მოქმედებს, მაგალითად, სოფელ კირცხის პარტიის XX ყრილობის სახელობისა და სოფელ ახუთის კოლმეურნეობებში, სოფელ ნაკიანის მეთხეობის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი სამი საიჯარო ბრიგადა. მათ ორი ათას წლამდე ვადით გადაეცათ საკვები სავარგულები — სულ 430 ჰექტარი, ტექნიკა და სხვა რესურსები. სულაც არ არის საკვირველი, რომ ეს მეურნეობები დღეისათვის ლიდერობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. დავასახელებ შრომის დამკვრელებს. ესენი არიან კირცხის კოლმეურნეობის საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი გივი ესართია, სოფლების ახუთისა და ნაფიჩხოვოს მეცხოველეები პავლე ბონდაკი და ხუხუთი ქობალია.

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ერთი მიზნისაკენ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს ოცდამეექვსე ღუმლის ერთ-ერთი ბრიგადას რვა წელია ხელმძღვანელობს კომუნისტი ვახტანგ ფერაძე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ბრიგადის წარმატებას, სამუშაოზე პირადი აქტიურობით, შემოქმედებითი ძიებით ღირსეულ მაგალითს აძლევს ამხანაგებს.

ბრიგადა უწუნოდ მუშაობს, ამიტომ არაერთხელ ყოფილა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის.

ახლაც წარმატებით გაართვეს თავი შვიდი თვის საწარმოო დავალებათა შესრულებას. მათ 3302 ტონა ფეროშენადნობი გამოუშვეს, რაც გეგმას 179 ტონით აღემატება, ამავე დროს დაზოგეს 40 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 50 ტონა მანგანუმის კონცენტრატი და 20 ტონა კვარციტი.

ბრიგადის წევრებს ქ. ბოჭორიშვილს, ქ. აბესაძეს, ჯ. აბესაძეს და ა. ბუცხრიკიძეს ბრიგადასთან ერთად ახლა ერთი მიზანი ამოქმედებთ — წარმატებით განახორციელონ XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებები, 15 დეკემბრისათვის შეასრულონ ხუთწლედის სამი წლის დავალება და გეგმის გადამეტებით 305 ტონა ფეროშენადნობი გამოუშვან.

▼▼

შენდება ახალი ქარხანა

„ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ სუფთა გარემოსათვის“ — ასეთი მოთხოვნა უძევს საფუძვლად გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ქუთაისში აშენდეს ახალი ლითოფონის ქარხანა. უახლოეს წლებში შესაძლებელი იქნება გარემოსათვის მავნე ამჟამად მოქმედი წარმოების ქალაქგარეთ გატანა. მთელი კომპლექსის თავდაპირველი ღირებულება, რომელიც 1992 წელს უნდა ამუშავდეს, 48 მილიონი მანეთია. წელიწადში 70 ათასი ტონა ლითოფონის სიმძლავრის ახალი საწარმო უნარჩენო და ეკოლოგიურად სუფთა იქნება. ლითოფონის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებსა და გაწმენდაში გათვალისწინებული იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა უახლესი მიღწევა.

წლევანდელი წლის დამლევისათვის დამთავრდება ადმინისტრაციული კორპუსის, რკინიგზის საამქროს აშენება, გაიყვანენ ცალკეულ საწარმოო კორპუსებთან მისასვლელ გზებს.

ახალ ქარხანას აშენებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი.

▼▼

პირობა შეასრულეს

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘᲡ რაიონის ლილოს საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებელთა უგანრიგო ბრიგადამ, რომელსაც შ. ფიცხელაური ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა წელს გეგმის გადაჭარბებით 120 ტონა თივა და 300 ტონა სილოსი დაამზადოს.

8 აგვისტოსათვის საკვებმომპოვებლებმა მოთიბეს და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმებთან დაზვინეს 870 ტონა თივა და ჩადეს 500 ტონა სილოსი. ამით მათ ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება.

კარგად გაისარჯნენ აგრეთვე ვეტერანი საკვებმომპოვებლები — ს. ყიფიანი, ი. ღვინიაშვილი, გ. გულისაშვილი და სხვები. თითოეულმა მათგანმა წელს უკვე მოთიბა და დაზვინა 30-35 ტონით მეტი თივა, ვიდრე შარშან.

საკვების დამზადების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ენერგიულად შრომობენ აგრეთვე ნორიოს მერძევეობის, მარტყოფის მებოსტნეობის, სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები.

▼▼

სიუხვის წყარო

ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ლენტეხის რაიონში იჯარის მეთოდით ამუშავებენ 870 ჰექტარ სახნავს და 31300 ჰექტარ სათიბებს. რაიონის ორი ათასამდე მშრომელმა კი გასასუქებლად გაიპიროვნა საბჭოთა მეურნეობის 3320 სული საქონელი და 720 ღორი.

იჯარის მეთოდით შრომა კარგ შედეგს იძლევა. მაგალითად, მიმდინარე წლის 7 თვეში უკვე წარმოებულია 80 ტონით მეტი ხორცი, ვიდრე შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდში. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე პროდუქტების წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლები. ეს იმითაც დასტურდება, რომ წელს დამამზადებელ პუნქტებში მიყვანილი თითოეული სული პირუტყვის წონა საშუალოდ 30-40 კილოგრამით აჭარბობს გასული წლის ამავე მაჩვენებელს. ჩაბარებული რძის ოდენობა — 180 ტონით, ცხიმიანობა კი 1,6 პროცენტით გაიზარდა.

▼▼

ბოსტნეულის უხვი მოსავალი

ᲕᲐᲜᲘᲡ რაიონში პამიდვრის აღებას პირველები შეუდგნენ სოფლების სალხინოსა და ტობანიერის კოლმეურნეობების, ციხესულორის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეები. აქ კარგი მოსავალი მოიწიეს. გეგმით გათვალისწინებული 145 ცენტნერის ნაცვლად ცალკეულ ნაკვეთებზე ჰექტარზე საშუალო 250 ცენტნერი მიიღეს. სახელმწიფო შეკვეთით მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულია, რომ რაიონმა სულ უნდა დაამზადოს 2650 ტონა პამიდორი, მაგრამ მებოსტნეებმა გადაწყვიტეს ეს მიჯნა 4000 ტონამდე გაზარდონ.

მინდვრებში გრძელდება თავიანი ხახვის აღება. უკვე დამზადებულია სამი ათას ტონაზე მეტი. აქაური მეურნეობებისათვის ამ ტრადიციული ბოსტნეული კულტურის მოსავალი მოიწია საზოგადოებრივ მებოსტნეობაში დასაქმებული 52 კომპლექსური საიჯარო კოლექტივის უმრავლესობამ.

▼▼

ქალაქელთა სუფრას დაამშვენებს

ᲐᲒᲓᲠᲘᲡ მიუხედავად წარმატებით გაართვეს თავი წყალტუბოს ზონის მებოსტნეებმა საკავშირო ბაზრისათვის მიწოდების გეგმებს. დღეს აქედან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაგზავნეს 18 ტონა ბოსტნეული. სულ განვლილ პერიოდში წყალტუბოელებმა გაგზავნეს სამი ათასი ტონა კომბოსტო, ჭარხალი, ბოლოკი, ბოსტნეულისა და სათბურების სხვა პროდუქცია.

— უახლოეს წლებში, — თქვა ქალაქ წყალტუბოს ზონის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ჯანსუღ დემეტრაძემ, — ჩვენ არა მარტო რაოდენობას გავზრდით, არამედ ხარისხსაც გავაუმჯობესებთ, გავამრავალფეროვნებთ ასორტიმენტს. ამ პროგრამის შესრულებას ხელს უწყობს სოფლებში ტყაჩირსა და მაღლაკში სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების შექმნა, რომლებიც უკვე წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან სამი ათას ტონამდე ბოსტნეულს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წლევანდელი მოსავლის მოყვანაში განსაკუთრებით გამოიჩინონ თავი სამეურნეოთაგარიშიანმა და საიჯარო ბრიგადებმა, რომლებმაც დაამუშავეს მთელი სახნავი ფართობის დაახლოებით 75 პროცენტი.



ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ჩხორიის ეგნატე ქვარაია[illegible] სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი აგრონომი გიორგი ფიფია სათავეში ჩაუდგა რგოლს, რომელიც სანარდო იჯარით მუშაობს. მეურნეობამ მოიჯარადრეებს გამოუყო ექვსი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. რგოლის წევრებმა საერთო ძალებით შეიძინეს ტ-16 მარკის ტრაქტორი.

გ. ფიფია და მისი ამხანაგები ახალ პირობებში მუშაობის პირველი დღეებიდანვე საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ: მათ მიმღებ პუნქტს უკვე 9 ათას კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული ჩააბარეს და 85 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

რგოლის წევრები სეზონის დამლევამდე სახელმწიფოს სულ ცოტა 80 ტონა ჩაის ფოთოლს მიჰყიდიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საიჯარო რგოლის ხელმძღვანელი გიორგი ფიფია; ჩაის კრეფა საიჯარო პლანტაციაში.

საქინფორმის ფოტო.

ჩაი-88

ფინჯანი ჩაი არომატული უნდა იყოს

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚ მეჩაიეებს არომატული და სურნელოვანი ჩაის ნედლეულის დამზადების კარგი ტრადიცია აქვთ. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის არც ერთ დარგს იმდენი სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის ორდენოსანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი არ ჰყოლია, როგორც მეჩაიეობას. ეს შემთხვევითი არ გახლავთ. საზოგადოებრივი მეურნეობის, მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო ჩაის კულტურაა. ამიტომ ჩვენი წინაპრები მის გაშენებას, მოვლა-პატრონობას, მოსავლის აღებას მუდამ სათუთად ეპყრობოდნენ, რაოდენობასთან ერთად ნედლეულის ხარისხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

დავიწყებას არ მიეცემა ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას, ანთიმოზ როგავას, სოციალისტური შრომის გმირების ვარლამ ჩიქავას, შალვა ხარებავას, პართე ალშიბაიას და სხვათა ის დიდი ამაგი, რაც მათ გაუწევიათ დარგის განვითარებისათვის. სწორედ მათი და სხვა ამგვართა გარჯით შორს იყო განთქმული ქართული ჩაის სახელი და დიდება.

წლებმა სწრაფად გაირბინა. უძრაობისა და განუკითხაობის პერიოდში ჩაის ხარისხი მკვეთრად გაუარესდა. 1982 წელს თამარ ყუფუნიამ ხმა აიმაღლა და რესპუბლიკის მეჩაიეებს მოწოდებით მიმართა — აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდებაო. თ. ყუფუნიას ინიციატივას ყველა მეჩაიე და ჩაის მრეწველობის მუშაკი გულით გამოეხმაურა, მაგრამ გაბერილი გეგმების მარწუხებში მალე ეს წამოწყებაც დავიწყებას მიეცა.

შარშან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს დადგენილება ჩაის პლანტაციების აღდგენის დაჩქარებისა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. უპირველესად 150 ათას ტონამდე შემცირდა ნედლეულის დამზადება. ეს ნიშნავს უარი ვთქვათ ფოთლის უთავბოლო გლეჯაზე და გადავიდეთ შერჩევით კრეფაზე. სერიოზულად, საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი ხარისხოვანი ნედლეულის დამზადებას.

დღეს ცხოვრება მოითხოვს, რომ წლევანდელი სეზონი უთუოდ გარდატეხის სეზონი გახდეს ჩაის ხარისხის მკვეთრად გასაუმჯობესებლად. დიახ, ახლა მეჩაიეებისათვის არ არსებობს უფრო დიდი საპრესტიჟო საქმე, ვიდრე ქართული ჩაის ღირსების აღდგენა. ეს მეტად პრინციპული საკითხია. ამიტომ უკომპრომისო ბრძოლაა გაჩაღებული იმათ წინააღმდეგ, ვინც ოდნავ მაინც შეეცდება უხარისხო ნედლეულისა და პროდუქციის დამზადებას, — გვითხრა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა იგორ ქობალიამ.

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა დიდი შრომა გასწიეს უამინდობით გამოწვეული სიძნელეების დაძლევისათვის. გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა წლის მოსავლის გადასარჩენად. როგორც იტყვიან ხოლმე, ქუდზე კაცი გამოვიდა მოყინული და გაფუჩეჩებული დუყებისაგან ბუჩქების გასაწმენდად, სალი ნედლეულის მოსაკრეფად, პლანტაციებში სასუქების შესატანად. სტიქია კვლავ არ ცხრება. ივლისის ბოლოს და აგვისტოს პირველ რიცხვებში კოკისპირულმა წვიმებმა პლანტაციები დატბორა, მეჩაიეებს და ჩაის საკრეფ მანქანებს გაუჭირდათ მუშაობა. მოსავალს გაუჭირდება მოღლის, დანაკარგები მატულობს. ამ დროს რა გუნება-განწყობილება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ხარისხოვანი ჩაისათვის ლაშქრობის მონაწილეთა გვერდით არ დადგე, მათი ჭირ-ვარამი არ გაიზიარო და მათთან ერთად არ შეერკინო ბუნების ჭირვეულობას.

მეჩაიეთა გვერდით ილჯწიან რაიონისა და ქალაქ ზუგდიდის წარმოება-დაწესებულებების მუშამოსამსახურეები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ექიმები, მშენებლები, შრომისა და ომის ვეტერანები, ყველა ისინი, ვისთვისაც ასე ძვირფასია და საამაყო თვით ზუგდიდის სახელი და დიდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაიონის სამედიცინო დარგის (მთავარი ექიმი დ. აბშილავა) მუშაკთა დახმარება მეჩაიეებისადმი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაში. დაწესდა სპეციალისტთა ბრიგადის მინდვრად გასვლითი სამუშაო გრაფიკი, რეგულარულად ტარდება მეჩაიეთა და მათი შვილების სამედიცინო შემოწმება. გვიანობამდე მუშაობენ ამბულატორიები, სადღელამისო მორიგეობაა შემოღებული ნარაზენის სამედიცინო ამბულატორიისა და ზედა ეწრის საუბნო საავადმყოფოში.

„კომუნისტის“ საგუშაგო

ჩაის ფოთლის კრეფის დაწყებიდანვე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები გახანგრძლივებული დროით მუშაობენ. ნარაზენის, ხეცერის და ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილ სტუდენტთა და მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკებში და ნარაზენის ინტერნატში გახსნილი საველე სასადილოები კარგად მარაგდებიან ხორცით, რძით, რძის პროდუქტებით, საკონდიტრო ნაწარმით, ხილ-ბოსტნეულითა და გამაგრილებელი წყლებით. მცირეწლოვანი ბავშვების დედებისათვის ნორმალური სამუშაო პირობებისათვის დამატებით გაიხსნა ბაგა-ბაღები. მეჩაიეთა სოციალური პრობლემების მოგვარება რაიონის ხელმძღვანელების ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

8 აგვისტოსათვის საგეგმო 62.500 ტონიდან მოკრეფილია 38.986 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ივლისის დავალება შესრულდა 114,9 პროცენტით, წლიური გეგმისა — 62,3 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში დამზადებულ ნედლეულში პირველმა ხარისხმა 49,9 პროცენტი შეადგინა. შარშანდელთან შედარებით ნაზი ფრაქციის შემცველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, გადიდდა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდა მისი გემო და არომატი. ამიტომაა, რომ მოსკოვში და ქვეყნის სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში გაგზავნილი ჩაი მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს, და მოთხოვნაც გაიზარდა.

როგორც ხარისხის, ასევე რაოდენობის მხრივ რაიონზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებს. ეს პირველ რიგში ითქმის კახათის კოლმეურნეობაზე, რომელსაც სკკპ XIX კონფერენციის დელეგატი, სოციალისტური შრომის გმირი ჯოტო გუგუჩია ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობა სეზონში 2.950 ტონა ნედლეულს ამზადებს. დღემდე დამზადებულ მასაში 59,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ასევე კარგი სიტყვების ღირსი არიან ნარაზენელი მეჩაიეები. ნარაზენელები წლეულს 2.690 ტონა ნედლეულს ამზადებენ და უწინარესად ხარისხისათვის იბრძვიან. პირველმა ხარისხმა კი 56,1 პროცენტს მიაღწია.

როგორ იბრძვიან ხარისხისათვის თვით თამარ ყუფუნიას მშობლიურ სოფელში?

ახალსოფლის ლენინის სახელობის და „კოლხეთის“ კოლმეურნეობების მეჩაიეები გარჯას არ იშურებენ სახელოვანი წინაპრის ოცნების ხორცშესხმისათვის, რომ მომხმარებელმა მიირთვას მხოლოდ არომატული ფინჯანი ჩაი და არა მღვრიე, უფერული სითხე. ორივე კოლმეურნეობის ნედლეულის პირველი ხარისხი დღემდე შესაბამისად 53 და 56 პროცენტია.

ხარისხისათვის თავდადებით იბრძვიან და კარგი შედეგი აქვთ ინგირის, კოკის, კორცხელის, ნაცატუს, ჩხორიის, ჯიხაშკარის, ერგეტის, აბასთუმნის, დიდინეძის, ზედა ეწრის, ორულუს და ონარიის მეჩაიეებს (დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითი წილი 50 პროცენტზე მეტია).

მეჩაიეებზე ნაკლები შრომა როდი აქვთ ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებს. ერთი ჭანჭიკის გაფუჭებამ შეიძლება შეაფერხოს ნედლეულის გადამუშავების პროცესი, ამიტომ ფაბრიკების ხელმძღვანელები წინასწარ იმარაგებენ სათადარიგო ნაწილებს, რომ შეფერხებას ადგილი არ ექნეს. ფაბრიკების გაერთიანების გენერალური დირექტორი რეზო ივარდავა გვეუბნება: წლეულს აღვადგინეთ ისეთი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ წარმოებიდან ამოღებული იყო. უხეში, უკონდიციო და თანაც რაოდენობრივად ბევრი ნედლეულის გადამუშავებას ვერ ვასწრებდით. წლეულს რაოდენობა შემცირდა, ნედლეულის ხარისხი გაუმჯობესდა. დაინერგა სიახლეები, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური ხაზები.

რაიონის საერთო წარმატებებს ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა უკან ეწევა. ჩანს, დღევანდელობას მათ ფეხი ვერ აუწყეს. შემოწმების დღეებში ვნახეთ მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებზედაც ლაპარაკი გვქონდა რაიონის ხელმძღვანელებთან. მიღწევათა ფონზე ამჯერად მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ მათზე მოგვეთხრო მკითხველისათვის, მით უმეტეს, დღის ბოლოს, როცა რაციით გადაიცემა მუშაობის შედეგები, ჩვენს მიერ შემჩნეულ ნაკლოვანებებზეც იყო მკაცრი საუბარი.

გ. ნოდია,
ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

კონტაქტები

„თბილის-არისი“

ᲡᲡᲠ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სარეგისტრაციო რეესტრში შეტანილმა ხუთმა ციფრმა დასაბამი მისცა საქართველოს დედაქალაქში პირველი ერთობლივი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საწარმოს „თბილის-არისის“ დაბადებას. იგი შექმნეს ფირმა „არისმა“ და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

ფირმა „არისი“, რომელიც პარიზის ცენტრში, ელისეს მინდვრებზე მდებარეობს, შუამავლობით საქმიანობას ეწევა გამოთვლითი ტექნიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის დარგში. „არისის“ საქმიანი პარტნიორები არიან, კერძოდ, ისეთი სოლიდური ფირმები, როგორიცაა „სონი“ და „კომეფი“. უნდა ითქვას, რომ „არისის“ პრეზიდენტი წარმოშობით ქართველია — შალვა თაყაიშვილი. სწორედ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მასთან საუბრის დროს, იშვა ერთობლივი საწარმოს შექმნის იდეაც. ეს წინადადება შემდეგ მოიწონა საქართველოს მინისტრთა საბჭომ. მისი განკარგულებით გათვალისწინებულია გამოიყოს საჭირო შენობა და გადაწყდეს სხვა პრაქტიკული საკითხები.

„თბილის-არისის“ შექმნა მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და მართვის გამოცდილების ურთიერთხელსაყრელ გაზიარებას, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების დარგში პროდუქციასა და მომსახურებაზე სსრ კავშირისა და საფრანგეთის, სხვა ქვეყნების მოთხოვნების უფრო სრულ დაკმაყოფილებას. ერთობლივი საქმიანობის პირველივე წელს საფრანგეთის მხარე გარანტიას იძლევა, რომ უზრუნველყოფს სულ ცოტა 3,5 მილიონი ფრანკის შეკვეთებს.

წლითიწლობით იზრდება გამოთვლითი ტექნიკის საერთაშორისო მიწოდების მოცულობა. მაგრამ აი მათი მომსახურების, რემონტის საქმე კი უფრო რთულად არის. საზღვარგარეთის ფირმებისათვის იოლი როდია ყოველთვის გამოგზავნონ ამისათვის თავისი სპეციალისტები. ამიტომ „თბილისი-არისი“ გასწევს გარანტიულ და გარანტიისშემდგომ მომსახურებას, ასამოქმედებელ-გასამართავ სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სსრ კავშირში, აგრეთვე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში დასავლეთიდან მიღებული გამოთვლითი კომპლექსებისა და ტექნიკის გამოყენებასთან.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხელს არ შეუშლის ერთობლივ საწარმოს თავად შეიმუშაოს ტექნოლოგიური, საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემისათვის პროდუქტის პროგრამული უზრუნველყოფა. გარდა ამისა, დაგეგმილია თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილ სამეცნიერო-ტექნიკურ სასწავლო ცენტრში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების, კერძო პირების სწავლება.

ერთობლივი საწარმო აპირებს აითვისოს პერსონალური კომპიუტერების სამრეწველო აწყობა, რომლებიც დღეს ასე სჭირდებათ ჩვენს სახალხო მეურნეობას, განათლების სისტემას და სასწავლებლებს.

პარტიული ცხოვრება: განვახორციელოთ სკკპ XIX კონფერენციის გადაწყვეტილებანი!

პარტიული აპარატის მუშაობას სულ უფრო მეტად უნდა ახასიათებდეს გერგილიანობა, საჯაროობა, კრიტიკულობა, ყოველდღიური კავშირი მასებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან.

რაიკომში წერილი მოვიდა...

მშრომელთა განცხადება, წერილი, წინადადება, სურვილები, მათი მიღება ადგილებზე — ეს პარტიისადმი უსაზღვრო ნდობაა. საბჭოთა ადამიანები წერენ ყველაზე არსებითზე, იმის შესახებ, რაც მათ ახარებთ, აღელვებთ, აფიქრებთ. ისინი გვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებას, აკრიტიკებენ ჩავარდნებს, ნაკლოვანებებს, ცალკეული მუშაკებისა თუ ხელმძღვანელი ორგანოების უნიათობასა და უგერგილობას. პარტიისა და ხალხის კავშირის ამ ცოცხალი არხის უდიდესი მნიშვნელობა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობასა და სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე.

საჯაროობა, მასების მხრივ კონტროლისა და კრიტიკისათვის გზის გახსნა, ნათქვამია სკკპ XIX კონფერენციის რეზოლუციაში „საჯაროობის შესახებ", სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირების უცილობელი პირობაა. იქვე აღნიშნულია, რომ პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების მოვალეობაა ყურადღებით ეკიდებოდნენ მშრომელთა კრიტიკული შენიშვნების, აზრებისა და წინადადებების განხილვას, ჩაუნერგონ მასებს საჯაროობის კულტურა...

რესპუბლიკის ბევრი პარტიული კომიტეტი ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხებს, სისტემატურად ზრუნავს საამისო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. მათ შორის არის პარტიის დმანისის რაიკომიც, რომელმაც ბოლო ხანს ამ მხრივ საგრძნობლად გააქტიურა და გარდაქმნა მუშაობა. როგორია მისი შედეგები, რა კეთდება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის? — აი, ძირითადად ამის თაობაზე მოგითხრობთ ქვემომდებარე წერილში.

მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს, თქვა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ელოშვილმა, ვაფასებთ როგორც ჩვენი ხალხის მაღალი სოციალური აქტიურობის მაჩვენებელს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მათი მონაწილეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას, ინფორმაციის მდიდარ წყაროს. წერილების ავტორები სხვადასხვა ეროვნების, პროფესიისა და ასაკის ადამიანები არიან და სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, საჭირბოროტო საკითხებსაც სულ სხვადასხვანაირად აყენებენ. მაგრამ აქვთ ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი. ეს არის საზოგადოებრივი საქმის წინსვლის მტკიცე სურვილი და საამისოდ მათი მზადყოფნა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც: პარტიის XXVII ყრილობის, განსაკუთრებით კი სკკპ XIX კონფერენციის შემდეგ შეინიშნება რაიონის მშრომელთა მხრივ ინფორმაციის არა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა, არამედ მათი ხასიათის ხარისხობრივი ცვლილებაც. მაგალითად, მატულობს წერილები, რომელთა ავტორები გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო მოწონებას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი, გამოთქვამენ შენიშვნებს, აყენებენ წინადადებებს, ბჭობენ, მსჯელობენ. ყოველივე ეს მიმართულია ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის სრულყოფის, სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ. განსაკუთრებით მდიდარია ფოსტა ამ დღეებში, როცა მიმდინარეობს სკკპ XIX კონფერენციის მასალების საყოველთაო-სახალხო განხილვა და შესწავლა. კომუნისტები და მშრომელები რაიონის ყველა სოფლიდან გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, ყურადსაღებ, საქმიან შენიშვნებსა და სურვილებს, მზადყოფნას — თავიანთი ძალები მოახმარონ კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების, გარდაქმნის საქმეს.

ამის კვალობაზე სულ უფრო ძლიერდება შრომითი ენთუზიაზმი და სოციალისტური შეჯიბრებაც. წელს, როგორც არასდროს, საუკეთესო აგროვადებში სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მატულობს რძის წარმოება, პირუტყვის წონამატი, იზრდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა. პატაკები შრომითი წარმატებების შესახებ — ეს ის სასიხარულო წერილებია, რომლებიც იწვევს ადამიანების უდიდესი სიამაყის გრძნობას, პარტიის საქმისათვის თავდადებას.

ამასთანავე რაიკომის ფოსტაში ბევრი ისეთი წერილებიც არის, რომლებიც განსაკუთრებული მსჯელობის საგანი ხდება. ამის ტრადიცია კიდეც დაამკვიდრა პარტიის რაიკომმა. შარშან, მაგალითად ვაკის საბჭოთა მეურნეობიდან შემოვიდა სიგნალები ადგილობრივი მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში უხეში დარღვევების შესახებ. რაიკომმა ყური მიუგდო მშრომელთა გულისთქმას, ჩატარდა დოკუმენტური რევიზია. გამოირკვა, რომ მეურნეობაში ყველა საკითხი წყდებოდა ერთპიროვნულად, ადმინისტრაციული მეთოდებით, ადგილი ჰქონდა წამატებებს, სახელმწიფო თანხებში თავისუფლად აფათურებდნენ ხელს, ფუნქციონირებდა გაჯის საამქრო, რომელშიც მოწვეული „საქმოსნები" ჰყავდათ. საამქრო და მისი მოწყობილობა პრაქტიკულად საბჭოთა მეურნეობის ბალანსზე არ ირიცხებოდა და არც აღრიცხვაზე იყო აყვანილი.

აი, არამეურნეობრიობის კიდევ სხვა სავალალო ფაქტები: მეურნეობამ სათესლედ შეიძინა 11 ტონა კარტოფილი კილოგრამი 23 კაპიკად. რამდენიმე დღის შემდეგ კი იგი ფურაჟად მიყიდა ბაშკიჩეთის ჯიშთსანაშენე მეურნეობას კილოგრამი სამ კაპიკად. ამ „ოპერაციით" მეურნეობამ 2.200 მანეთი იზარალა. მეურნეობის თავკაცების წინდაუხედაობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როცა ხელშეკრულება გაუფორმეს „ჩრდილოეთის" რკინიგზის სატყეო მეურნეობას 3 ათასი კუბური მეტრი ხის მასალის შესყიდვაზე, რომელიც მეურნეობის მუშებს უნდა დაემზადებინათ, მაგრამ საბჭოთა მეურნეობიდან მივლინებულმა მუშებმა ხელშეკრულების პირობები არ შეასრულეს. სატყეო მეურნეობამაც დანაპირები 3 ათასის ნაცვლად მხოლოდ 165 კუბმეტრი ხე-ტყე გამოგზავნა. მუშებს კი ხელფასის გარდა უკანონოდ მისცეს თითქმის 11 ათასი მანეთი! ზარალი მართლაც დიდია, პარტიული ორგანიზაცია კი გულგრილი მეთვალყურის როლში იყო. მეურნეობის უყაირათო დირექტორი ე. ქრისტოსენკო პარტრაიკომის ბიურომ მკაცრად დასაჯა — გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, საყვედური გამოეცხადა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ჟ. გულიევსაც, დაისაჯნენ სხვა ბრალეულნიც, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს არა ეშველა რა, ზარალი ზარალად დარჩა. აღსანიშნავია, რომ ბიუროს ამ სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონის მეურნეობათა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები, რომელთათვის ეს კარგი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იყო.

რაიკომში შემოსული წერილების გაცნობამ ასეთი კითხვა გაგვიჩინა: ყოველთვის არის კი საჭირო საქმეში სახელდობრ პარტიის რაიკომის ჩარევა? ცხადია, არა, რადგან ბევრი წერილი და საჩივარი იმის შედეგია, რომ ხელმძღვანელები სერიოზულად არ მუშაობენ ადგილებზე. დაასახელეს ასეთი ფაქტები: მოქალაქეებმა ა. ისკანდაროვამ, ტ. ამიროვამ, ქ. ჰუსეინოვამ და სხვებმა რამდენჯერმე მიმართეს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელებს (უფროსი — ქ. თეთრაძე, პარტორგანიზაციის მდივანი — რ. ნეუსტროევა) იმის თაობაზე, რომ მათს ბინებში ტელეფონები ხანგრძლივად არ მუშაობდა, მაგრამ ბიუროკრატებმა არაფრად ჩააგდეს მშრომელთა ინტერესები და განცხადებები ურეაგიროდ დატოვეს. მაშინ მოქალაქეებმა რაიკომს მიმართეს.

რაისამომხმარებლო საზოგადოებაშიც (გამგეობის თავმჯდომარე — ლ. ნონიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი — ვ. ფახიროვი) აბუჩად იგდებდნენ განმცხადებლებს და საჩივრების დიდ ნაწილს რეგისტრაციაშიც არ ატარებდნენ. რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებაში კი (გამგე — ლ. ობედკოვა, პარტორგანიზაციის მდივანი — თ. ჰაჯიევი) საქმე კურიოზამდეც მივიდა. აქ უკიდურესად ზერელედ მოეკიდნენ ბოსლების საშუალო სკოლის პედაგოგის ც. აბუაშვილის განცხადების შესწავლას, რომელიც ამჟამად სკოლის ყოფილ დირექტორს ვ. დევრისაშვილს შრომითი დისციპლინის დარღვევაში ამხელდა. განყოფილების მუშაკებმა ც. აბუაშვილის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები კი არ შეამოწმეს, არამედ, პირიქით, განმცხადებლის დევნას შეეცადნენ, აქტი შეუდგინეს მას სამუშაო საათების გაცდენის შესახებ. მსგავსი შემთხვევა, სამწუხაროდ, იშვიათი როდია. საწარმოებსა და დაწესებულებებში ჯერაც არ აღმოფხვრილა ბიუროკრატიზმი, უსულგულობა, რომელიც ესოდენ ფესვგადგმული იყო ახლო წარსულში. ეს ცხადია, ართულებს რაიონული პარტიული რგოლის მუშაობას, მის ძალებს ფანტავს იმ საქმეზე, რომლის გადაწყვეტა ადგილებზე შეიძლება. მაგრამ თუ არა რაიკომმა, სხვამ ვინ უნდა იბრძოლოს ამ არასასურველი ტენდენციის აღსაკვეთად!

თითოეული წერილის, თხოვნის უკან დგას ცოცხალი ადამიანი. სწორად მოიქცა პარტიის დმანისის რაიკომი, როცა ახლახან გამართულ ბიუროს მორიგ სხდომაზე მკაცრად მიუთითა იმ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს, რომლებიც არაფრად აგდებენ მშრომელთა ინტერესებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს ხშირად მაუდქვეშ ამოდებენ ან საქაღალდეში ისვრიან. ბიუროს ეს სხდომა მკაცრი მომთხოვნელობის ნიშნით გაიმართა და მის მონაწილეებს დიდხანს ეხსომებათ.

კმაყოფილებით უნდა ითქვას ისიც, რომ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად შემცირდა ადგილებიდან ასეთი საჩივრები. მაგალითად, შარშან იგი 32 პროცენტით ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებია. მაგრამ დმანისელ კომუნისტებს თვითდამშვიდების უფლება მაინც არა აქვთ, საჩივრები და განცხადებები კვლავ საკმაოდ შემოდის არა მარტო რაიონულ რგოლში, არამედ რესპუბლიკურ ორგანოებშიც. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ამ ორგანოებში შევიდა 147 საჩივარი, რომლებშიც აღძრული საკითხების გადაწყვეტა ადგილზე იყო შესაძლებელი. არადა, მასზე ზემდგომმა ორგანოებმა ზედმეტი დრო, ქაღალდი და სამივლინებო თანხები დახარჯეს.

ცხადია, ამ გარემოებას გრძნობენ და ითვალისწინებენ რაიონში. მოქმედებენ რა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების მეშვეობით და მუშაობენ ადამიანებთან, აქაური პარტიული ორგანიზაციები იღწვიან, რათა თითოეული კოლექტივი მთლიანად ასრულებდეს დაკისრებულ ფუნქციებს, ახორციელებდეს თავის დემოკრატიულ უფლებებს.

ცხოვრება, პრაქტიკა წარმოშობს კოლექტივთან ურთიერთობის ახალ ქმედით ფორმებს. ერთი ასეთი ფორმა გახდა ღია წერილის დღე, რომლის მოწყობის პრაქტიკა რაიონში ფართოდ არის დანერგილი. დიდი ინტერესით ჩაიარა მან გომარეთის, განთიადის, ბაშკიჩეთის, დმანისის საბჭოთა მეურნეობებში. რაიონში ფართოდ იყენებენ აგრეთვე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ისეთ ნაცად ფორმებს, როგორიცაა სოფლის ყრილობები, რომლებიც ყველა სასოფლო საბჭოში ეწყობა. მათზე განიხილავენ საკითხებს, რომლებიც ხშირად გვხვდება რაიკომის მისამართით გაგზავნილ განცხადებებში. ეს ყრილობები საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში სოფლის მშრომელთა მასობრივი მონაწილეობის ქმედითი ფორმაა.

ამჟამად დმანისის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მშრომელთა მიღებას. რაიონულ პარტიულ კომიტეტში მომსვლელებს იღებენ პირადად მდივნები, ბიუროს წევრები. სემინარებზე, რომლებიც რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის ტარდება, ხშირად მსჯელობენ მშრომელთა მიღების საკითხებზე.

— როცა ადამიანი მიღებაზე მოდის, უნდა ვეცადოთ, რომ მის გარშემო შევქმნათ ყურადღებიანი და კეთილმოსურნე ატმოსფერო, რათა მან თავი იგრძნოს როგორც კოლექტივის ღირსეულმა წევრმა, თქვა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ელოშვილმა.

მაგრამ მიღებისას მშრომელთა მიერ წამოჭრილი ყველა მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტა ზოგჯერ, ცხადია, ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ამ მხრივ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო გასვლითი მიღება, რომელიც პარტიის დმანისის რაიკომში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხანაგმა ბ. ნიკოლსკიმ ახლახან მოაწყო. იგი შეხვდა და ესაუბრა რაიონის სხვადასხვა სოფლისა და სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის წარმომადგენლებს, გულდასმით მოისმინა და ჩაინიშნა მათ მიერ დაყენებული საკითხები, პრობლემები, რომელთა მიხედვით სათანადო დავალებებიც მიეცათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს. ეს მიღება ჩვენთვის იმითაც იყო ძალზე [illegible], რომ ამხანაგმა ბ. ნიკოლსკიმ რაიონის ხელმძღვანელებს ბევრი საყურადღებო რჩევა-დარიგება მოგვცა, რომლებსაც, ცხადია, უთუოდ გავითვალისწინებთ. ეს კი ძალიან დაგვეხმარება მშრომელთა მიღებისა და მათს წერილებსა თუ საჩივრებზე მუშაობის პრაქტიკის დახვეწა-გაუმჯობესებაში.

მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობა ცოცხალი, შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც სისტემატურ სრულყოფას, ღრმა ანალიზსა და სათანადო დასკვნების გაკეთებას მოითხოვს. როცა ყველგან შექმნილია წერილობითი და ზეპირი მიმართვის ობიექტური გარჩევის პირობები, მაშინ უმჯობესდება მიკროკლიმატი კოლექტივში, იზრდება ადამიანების შემოქმედებითი აქტიურობა. აი საიდან უნდა წარმართონ კვლავაც თავისი საქმიანობა პარტიის დმანისის რაიკომმა, პირველადმა ორგანიზაციებმა, რაიონების სხვა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, რომლებიც ახლა პრაქტიკულად ასხამენ ხორცს სკკპ XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

უცხოეთში

საკდესი იუწყება
11 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავღანეთი:

ბრძოლები ექსტრემისტებთან

ქაბული. კვლავ რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარებაა ავღანეთის ზოგიერთ პროვინციაში. უკანასკნელი ცნობები მოწმობს, რომ შეიარაღებული ოპოზიცია კვლავინდებურად ცდილობს ხელში აიღოს მთელი რიგი რაიონების სიტუაციისადმი კონტროლი ტერორისა და დივერსიების გზით. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში რაკეტებისა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქაბულის, გილმენდის, ღაზნის, კაპისის, ყანდაჰარის, კუნარის, ლოგარის, ნანგარჰარის, პაქტიის პროვინციების დასახლებულ პუნქტებს. ამ და სხვა რაიონებში მოდის იარაღი და ტყვია-წამალი პაკისტანიდან.

ძირითადად მშვიდობიანი ადამიანების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი აქციების თავიდან აცილების მიზნით რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა რამდენიმე ოპერაცია განახორციელეს.

იმის გამო, რომ პაკისტანი კვლავ ერევა ავღანეთის საშინაო საქმეებში, რაც იმით გამოიხატება, რომ იარაღსა და ოპოზიციის შეიარაღებულ რაზმებს გზავნის, ამზადებს მეამბოხეებს საზღვრისპირა ბანაკებში, ქაბულში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებს გადაეცა ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 67-ე ნოტა, რომელშიც ჩამოთვლილია ჟენევის შეთანხმებათა დაუცველობის კონკრეტული ფაქტები.

ნიუ-იორკი. ჟენევის შეთანხმებათა ძალაში შესვლის შემდგომი ორნახევარი თვის განმავლობაში პაკისტანში კვლავ ფუნქციონირებენ ოპოზიციური ჯგუფების მომზადებისა და შეიარაღების ბაზები, რაც ამ შეთანხმებათა ფორმისა და შინაარსის აშკარა დარღვევაა. ეს ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ავღანეთის მუდმივი წარმომადგენლის შაჰ მოჰამედ დოსტის აქ გავრცელებულ წერილში, რომელიც მან გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხავიერ პერეს დე კუელიარს.

პაკისტანში შეიქმნა ეგრეთ წოდებული დროებითი მთავრობა, რაც ეწინააღმდეგება ჟენევის შეთანხმებებს, შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების დიდ რაზმებს გზავნიან ავღანეთის ტერიტორიაზე პაკისტანის ხელისუფალთა უშუალო მონაწილეობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი კი მოკლებული არიან შესაძლებლობას სხვადასხვა საბაბით ინსპექცია გაუწიონ იმ რაიონებს, სადაც განლაგებულია იარაღის საწყობები. ქაბულისა და სხვა ქალაქების დაბომბვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ პაკისტანიდან ამ ჯგუფებს დიდძალ რაკეტებს აწვდიან.

გარდა ამისა, პაკისტანის შეიარაღებული ძალები აშკარად მონაწილეობენ ოპოზიციური ჯგუფების ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის დახმარების გაწევაში და უშუალოდ მოქმედებენ ავღანეთის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ აქციებში, აღნიშნულია დოკუმენტში.

● ირან-ერაყი

საბრძოლო მოქმედება შეჩერებულია

ბაღდადი. ერაყის მთავარ სამხედრო სარდლობას განვლილ დღეებში არ გაუვრცელებია მორიგი ცნობა ფრონტზე საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობის შესახებ. ეს მოხდა პირველად ირან-ერაყს შორის რვა წლის წინათ დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ.

[illegible]. როგორც ირნას სააგენტო იუწყება, ირანის სამხედრო-[illegible] ძალები [illegible] ნავები [illegible] რვის მიზნით [illegible] სპარსეთისა და ომანის ყურეების თავზე. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეგანაყოფები იცავდნენ ირანის კუთვნილ კუნძულებსა და ნავთობის საზღვაო ნაგებობებს.

აქ მიღებულ თეირანის რადიოს გადაცემაში ნათქვამია, რომ ფრონტზე გაიგზავნენ მოხალისენი „საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დასაცავად".

თეირანში ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა პირველი ჯგუფი, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ირან-ერაყის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის პროცესს. როგორც ირნა იტყობინება, ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ ირანელ თანამდებობის პირებთან, რათა ნიადაგი მოუმზადონ დანარჩენ მეთვალყურეთა ჩამოსვლას.

● აშშ

მწვავე კამათის შემდეგ

ვაშინგტონი. მწვავე კამათის შემდეგ ამერიკის კონგრესის სენატმა 49 ხმით 47-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის ახალი დახმარების გაწევის შესახებ. გათვალისწინებულია კონტრრევოლუციური შენაერთებისათვის 27 მილიონი დოლარის გამოყოფა არასამხედრო დახმარებისათვის.

ფოტოფაქტი

ოკუპანტები პალესტინის მიწა-წყალზე

ენით აუწერელი უბედურება, მწუხარება და ცრემლი — ასეთია ისრაელის მხედრიონის მიერ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ოკუპაციის შედეგი. პალესტინელთა სახალხო აჯანყების შვიდ თვეში ისრაელ დამპყრობთა მსხვერპლი გახდა 818 კაცი, ასობით სერიოზულად დაშავდა. პალესტინელებს ჩამოერთვათ 2 მილიონ 775 ათას დონუმზე მეტი (1 დონუმი 0,091 ჰექტარია) მიწა. ამ მიწებზე გაშენდა ისრაელის 170 ახალი სოფელი. ოკუპირებულ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორში ისრაელმა ხელისუფლებმა 88 არაბული სკოლა დახურეს.

სურათზე: თელ-ავივის ჩექმა იორდანის დასავლეთ ნაპირის პალესტინელთა მიწა-წყალზე.

საკდესის ფოტო.

შულცის ვიზიტი გრძელდება

სან-ხოსე. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, რომელიც ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობს, შეხვდა კოსტა-რიკის პრეზიდენტს ოსკარ არიასს. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ შულცმა აღიარა, რომ არსებითად არ ეთანხმება არიასს რეგიონში, უწინარეს ყოვლისა ნიკარაგუაში კრიზისული სიტუაციის გადაწყვეტისა და მშვიდობის მიღწევის გზებისა და საშუალებების საკითხებზე.

კოსტა-რიკის ხელისუფლებმა ადრე ნიკარაგუელ კონტრრევოლუციონერთა მეთაურებს მოსთხოვეს დაეტოვებინათ ქვეყნის ფარგლები. მთავრობას აგრეთვე მიაჩნია, რომ კონტრრევოლუციონერებისათვის ამერიკის დახმარების შეწყვეტა იმის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ ბოლო მოეღოს ომს ნიკარაგუაში. ასეთი პოზიცია მკვეთრად განსხვავდება ვაშინგტონის გეგმებისაგან, რომელიც ამჟამად ამუშავებს კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებული შენაერთებისათვის მხარდაჭერის, კერძოდ, სამხედრო მხარდაჭერის გაწევის ახალ პროექტს.

კოსტა-რიკის შემდეგ შულცი ეწვია ჰონდურასსა და სალვადორს, სადაც საუბრები ჰქონდა ამ ქვეყნების ხელმძღვანელებთან, რომლებსაც, როგორც ცნობილია, „მათრახისა და თაფლაკვერის" პოლიტიკის დახმარებით შეერთებული შტატები აიძულებს მისდიონ მის აგრესიულ კურსს ნიკარაგუის მიმართ.

მედიცინა

ახალი პრეპარატი შიდსის წინააღმდეგ

ვაშინგტონი. ეროვნულ ონკოლოგიურ ინსტიტუტში დაიწყო შიდსით დაავადებულთა სამკურნალოდ გათვალისწინებული ახალი პრეპარატის ექსპერიმენტები. პრეპარატი წარმოადგენს პროთეინს, რომელიც მიღებულია გენური ინჟინერიის სფეროში მუშაობის შედეგად.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, ახალი პრეპარატი „ქიმიური ღრუბლის" მსგავსად იმოქმედებს: იგი შეიწოვს შიდსის ვირუსს, სანამ იგი ორგანიზმის იმუნური სისტემის უჯრედებამდე მიაღწევდეს და მათს დაშლას დაიწყებდეს.

ახლანდელი ექსპერიმენტის დროს პრეპარატს ვენაში შეუყვანენ 50 შიდსით დაავადებულს. „არ მინდა გადაჭარბებით შევაფასო ახალი წამლის შესაძლებლობანი, — განაცხადა დოქტორმა ს. ბროუდერმა, შიდსის საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნის სამუშაოების ერთ-ერთმა წამყვანმა ამერიკელმა სპეციალისტმა. — ჯერჯერობით ნაადრევია სრული დაბეჯითებით ითქვას თუ რაოდენ კარგად იმოქმედებს იგი. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია შიდსის საწინააღმდეგო წამლის მისაღებად. იგი გამოავლენს ვირუსის ბლოკირების სულ უფრო სრულყოფილ „გზებს". თავის მხრივ პრეპარატის მწარმოებელი კომპანიის „გენენტეკ ინკორპორეიტედის" ერთ-ერთმა დირექტორმა ს. შერვინმა თქვა, რომ „ყველა წინანდელი ექსპერიმენტი წარმატებით ჩატარდა".

ინსტიტუტის მეცნიერებს ამ ექსპერიმენტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ პრეპარატის გამოყენების გვერდითი ეფექტების შესწავლა. „შიდსის ექსპერტთა შორის გავრცელებული აზრით, — აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი", — ცალკეული წამლები ვერ შეძლებენ იზოლირებულად შიდსის ვირუსის მოსპობას და ისინი ეფექტიანი იქნებიან მხოლოდ სხვა პრეპარატებთან შეხამებით".

უიშვიათესი ოპერაცია

ორივე კიდურის ტრანსპლანტაცია – სამი წლის ეველინკას

ვარშავა. ლიტვის სოფელში რამდენიმე წლის წინათ დატრიალებული ტრაგედია ზუსტად განმეორდა პოლონეთში რადომთან, მაგრამ ასევე ოპტიმისტურად დამთავრდა. ისევე როგორც პატარა გოგონა რასას, სამი წლის ეველინკასაც, რომელიც მშობლებთან ერთად მინდორში იყო, სათიბელმა ორივე ფეხი გადაჭრა ტერფის ზევით. შემდეგ კი მოვლენები საბჭოთა სცენარის მიხედვით განვითარდა. ამ სასწრაფო აქციაში ჩაება სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, სანიტარიული ავიაცია და ბოლოს, მიკროქირურგიის ცენტრი. 11 საათს გრძელდებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პირველი და მსოფლიოში ერთ-ერთი უიშვიათესი ოპერაცია — ორივე კიდურის ტრანსპლანტაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი რიშარდ კონცემბა. როგორც მან თქვა, ეველინკა კიდევ რამდენიმე თვეს დაჰყოფს საავადმყოფოში, მაგრამ შინ საკუთარი ფეხით დაბრუნდება.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ეს წვრილმანი არ არის...

კერძების ღარიბული ასორტიმენტი, რომელშიც ამ გახურებული სეზონის დროს ბოსტნეულისა და მწვანილის სახსენებელიც კი არ არის, კეთილმოუწყობელი შენობა, სადაც არ იცავენ ელემენტარულ სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ნორმებს — ასეთ გულის დამამძიმებელ სანახაობას წარმოადგენს თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანების „გლდანის" მცხეთის ფილიალის მუშათა სასადილო. შემთხვევითი არ არის, რომ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა აკრძალა საზოგადოებრივი კვების ამ ობიექტის მუშაობა.

იგივე ხვედრი ხვდა წილად ბათუმის სამკერვალო გაერთიანებისა და ფეხსაცმლის ფაბრიკის, გორის ბამბეულის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების საკონდიტრო საამქროს, კულინარიის მაღაზიასა და № 21 სასადილოს. ეს და სხვა ამგვარი ფაქტები, რომლებიც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გამოვლინდა, მოიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს კომისიის სხდომაზე, რომელიც წარმოებაში მშრომელთა მომსახურების სფეროს განვითარებისადმი კონტროლს მიეძღვნა.

აღინიშნა, რომ სამინისტროს სისტემაში ჯანმრთელობისათვის ცუდ პირობებში მუშაობს ორი ათასზე მეტი კაცი.

არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს მუშაობა, რომელსაც რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტი ეწევიან სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. დასახულია რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობებისა და მომსახურების სფეროს შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

▼ ▼

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა ამხ. ოთარ კონსტანტინეს ძე **კერესელიძე** საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

ამხ. თამაზ ალექსანდრეს ძე **ქოიავა** — საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ;

ამხ. ვლასი ივანეს ძე **მანჯგალაძე** — საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ;

ამხ. ამირან ვარლამის ძე **ანჯაფარიძე** — საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ქმედითობა

უთოფო ყაჩაღები,

ანუ რატომ პარპაშებენ წამგლეჯნი რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე

„კომუნისტი." 1988 წლის 21 ივნისი

„კომუნისტის" კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. შუშბურიძე:

ცეკავშირის გამგეობამ სწორად სცნო გაზეთის ფურცლებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და მკაცრი შეფასება მისცა საგარეჯოს, გურჯაანის, ქარელის, გორის კოოპერაციულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების უსულგულო, გულგრილ დამოკიდებულებას დაქვემდებარებულ სავაჭრო ობიექტებში სანიმუშო სახელმწიფო წესრიგის დამყარებისა და მომსახურების კულტურის ამაღლების საქმეში სუსტი კონტროლისათვის.

გამგეობამ ცნობად მიიღო, რომ სისტემის საცალო ბაზრობაზე შემოწმების შედეგად კოოპორგანიზაციათა გამგეობების მიერ დარღვევაში მხილებული პირები განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან, ხოლო მათი მასალები საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა.

ამასთან ერთად დაქვემდებარებულ ობიექტებში სახელმწიფო წესრიგის დაუმყარებლობის და უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის, კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის ცეკავშირის გამგეობამ საგარეჯოს, გურჯაანის, ქარელის, გორის კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეებს ო. ჩოყოშვილს, მ. კახრელაშვილს, ი. გიორგანაშვილს, ბ. ნადირაძეს, თავმჯდომარის მოადგილეებს ვაჭრობის დარგში ნ. მესხიძეს, გ. ობოლაშვილს, ა. ტურაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ზემოხსენებულ კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობათა თავმჯდომარეებს თ. ქაველიშვილს, ნ. კვაცაშვილს, ს. ვართასაშვილს, ე. მაისურაძეს — სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ცეკავშირის გამგეობამ დაავალა აღნიშნულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიიღონ სათანადო ზომები ანალოგიური დარღვევების აღსაკვეთად.

ეკოლოგია

◆ **იტალია. ავტომანქანები ჰაერის გაჭუჭყიანების მთავარი წყაროა რომში, რომელსაც ხშირად იტალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები „შხამების დედაქალაქს" უწოდებენ. ჟურნალი „ვერენდე დი რეპუბლიკის" მონაცემებით, ქალაქში არის რაიონები, სადაც ჰაერში აზოტისა და გოგირდის ორჟანგის, ნახშირორჟანგის შემცველობა ათჯერ აღემატება სანიტარიულ ნორმას. ეს ფაქტი დაადგინეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მოძრავი საკონტროლო სადგურებით. ასეთ პირობებში სასუნთქი ორგანოების დამცველი ინდივიდუალური საშუალებანი ქუჩებში იტალიელთა აღჭურვის აუცილებელი ელემენტი გახდა.**

სურათზე: ეს იტალიელი ქალიშვილი იძულებულია რომის ქუჩებში ინდივიდუალური რესპირატორით გავიდეს.

საკდესის ფოტო.



ცხადდება კონკურსი

მოსავლის აღების, შენარჩუნებისა და გადამუშავების, საკვების დამზადების, ზამთრისათვის მეცხოველეობის მომზადების ჟურნალ-გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი საუკეთესო გაშუქებისათვის საკავშირო კონკურსის დებულება.

კონკურსის მიზანია პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოების მუშაკებს უფრო აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავლის აღების, შენარჩუნებისა და გადამუშავების, საკვების დამზადების, ზამთრისათვის მეცხოველეობის მომზადების საკითხების გაშუქებაში, გააფართოოს მოწინავე სასოფლო-სამეურნეო გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობენ ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, მათ შორის ახალგაზრდულიც, საოკრუგო, გაერთიანებული, საქალაქო, რაიონული გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტების ჟურნალისტთა კოლექტივები.

კონკურსის შედეგების შესაჯამებლად პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანოების ხაზით იქმნება საკავშირო ჟიური: პრესისა და რადიოს საოკრუგო, გაერთიანებული, საქალაქო, რაიონული ორგანოების ხაზით — რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ჟიურები.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებულია:

— სკკპ XXVII ყრილობის, XIX პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მუშაობის გაშუქება;

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოების იმ კოლექტივებისა და ინიციატივიანი მეურნეების მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, რომლებიც პრაქტიკულად იყენებენ ეფექტიან შრომისა და მართვის ორგანიზაციას, მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, უზრუნველყოფენ საკვების დამზადებას, მოსავლის აღებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირებისა და გადამუშავების დროს დანაკარგების შემცირებას, წარმოების ტექნოლოგიის დაცვას, ტექნიკისა და სასუქების ეფექტიან გამოყენებას, რაც უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღების საშუალებას იძლევა;

— სოფლის მეურნეობაში, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში, ტრანსპორტზე მასალებისა და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის მშრომელთა დასარაზმად პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ანალიზი.

— ჟურნალისტური ოსტატობის, პუბლიკაციათა ოპერატიულობის დონე;

— გამოქვეყნებული მასალების ქმედითობა.

პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საოლქო, რესპუბლიკური და ცენტრალური ორგანოების, ჟურნალისტთა კოლექტივების პრემირებისათვის დაწესებულია 10 პრემია თითოეული 500 მანეთის ოდენობით, მათ შორის:

— ორი პრემია ცენტრალური გაზეთების და ჟურნალების რედაქციებისათვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტისათვის.

— სამი პრემია მოკავშირე რესპუბლიკების ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისათვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტისათვის.

— ხუთი პრემია ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისათვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტებისათვის. გამარჯვებულნი აღინიშნებიან სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით.

საკავშირო ჟიური, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან შეთანხმებით „საბჭოთა პრესის" პავილიონში ექსპონირებისა და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით დაჯილდოებისათვის რეკომენდაციას მისცემს ათი გაზეთის, ჟურნალის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ჟურნალისტთა კოლექტივებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს 1988 წლის მოსავლის აღების გაშუქებაში.

საოკრუგო, გაერთიანებული, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს შორის კონკურსის პრიზიორებს, აგრეთვე მათი წახალისების ღონისძიებას განსაზღვრავენ რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ჟურნალისტური ორგანიზაციების გამგეობანი და ბიუროები შესაბამისი ჟიურის წარდგინებით.

კონკურსზე უნდა წარმოადგინონ 1988 წლის ივლის-ოქტომბერში პრესაში გამოქვეყნებული ან ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემული ძირითადი მასალების შენარჩევი, რომლებიც რეკომენდებულია შესაბამისი ჟურნალისტური ორგანიზაციების გამგეობებისა და პრეზიდიუმების მიერ და შეთანხმებულია პარტიულ კომიტეტებთან.

საკავშირო ჟიურის მასალები უნდა გამოუგზავნოთ მისამართით: 119021, მოსკოვი, ზუბოვსკის ბულვარი, 4. კონკურსზე „მოსავალი-88 აღების საუკეთესო გაშუქებისათვის". მასალების მიღების უკანასკნელი ვადაა 1988 წლის 5 ნოემბერი.

შემოსულ მასალებს განიხილავს საკავშირო ჟიური. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნო. კონკურსის შედეგები შეჯამდება 1988 წლის ნოემბერში.

სასკოლო მშენებლობა

სექტემბერი შორს როდია!

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ მოსწავლეთა მშობლების წერილს, რომელიც ჩვენს საკორესპონდენტო პუნქტში გუდაუთის რაიონის დაბა მიუსერიდან მოვიდა. იმის გამო, რომ აქ ვერავინ ვერ გადაწყვიტა უბრალო საკითხი, თუ ვის ეკუთვნის ნახევარი საუკუნის წინათ აქ აგებული შენობა, რომელშიც სოფლის საშუალო სკოლაა შეხიზნული, მისი ძირითადი რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ. ბოლოს კი ვინ არის დაზარალებული? — ბავშვები და მასწავლებლები. სავალალო მდგომარეობაშია შენობა: სახურავში წყალი ატანს, მეორე წელია საქვაბე მწყობრიდანაა გამოსული და სკოლა ზამთარში [illegible] თბება, არ არის პირობები გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, სწავლების კაბინეტური სისტემის შესაქმნელად, სპორტული და წრეობრივი მუშაობის გასაშლელად, სკოლას არ ყოფნის მასწავლებლები...

მიუსერის საშუალო სკოლის შენობის მეპატრონედ ჯერჯერობით განათლების მუშაკთა აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ითვლება, რომელიც წინათ ამ შენობებს საზაფხულო პიონერულ ბანაკად იყენებდა. წელს აქ არც პიონერული ბანაკი გაუმართავთ და შენობა უპატრონოდ გამოიყურება. ნუთუ არ შეიძლებოდა სკოლის ეს შენობა განათლების მუშაკთა პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს თავის დროზე გადაეცა გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების ან მიუსერის სადაბო საბჭოს ბალანსზე? რამდენი დრო უნდა დაიკარგოს ამ უწყებრივი ბარიერის გადალახვაზე?

მიუსერის საშუალო სკოლა თავისი გასაჭირით გამონაკლისი როდია. უკვე რამდენიმე წელია ავარიულ მდგომარეობაშია გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერის სკოლა-ინტერნატის ძველთაძველი კოტეჯები. ამ ხუთიოდე წლის წინათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ორმხრივი ხელშეკრულებით ბაბუშერის სკოლა-ინტერნატის ტერიტორია თავისი ძველი ნაგებობებით თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას გადასცა იმ პირობით, რომ ქარხანა, სამაგიეროდ, მეზობელ სოფელ ზემო ფშაფში ააშენებდა ახალ სკოლა-ინტერნატის კომპლექსს, რომელიც 3 მილიონ 70 ათასი მანეთი დაჯდებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ თბილისელი ელექტროვაგონშემკეთებლები, რომლებიც საჭირო თანხები აბადიათ, გულმხურვალედ მოეკიდებ[illegible] ამ საქმეს, რომ, რაც შეიძლება [illegible], შავიზღვისპირეთის ამ ულამაზეს კუთხეში თავიანთი ბავშვებისათვის საზაფხულო დასასვენებელი კეთილმოწყობილი ბაზა შეექმნათ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა ძალიან შეფიქრიანებულია ბაბუშერის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობით.

სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეებთან ვახტანგ გახვიანთან, დავმარა ნინიძესთან, გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან ნიკოლოზ სართანიასთან ერთად დავათვალიერეთ ზემოფშაფში 360 მოსწავლისათვის განკუთვნილი აღნიშნული სკოლა-ინტერნატის მშენებლობა. მესამე წელია აქ სამუშაოებს აწარმოებს №676 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი გ. ხოჭოლავა) კოლექტივი. ადგილზე დაგვხვდნენ სამუშაოთა მწარმოებელი გ. მიქაუტაძე და ოსტატი მ. ქვარცხავა. ამჟამად აქ მხოლოდ მეორე სართულის კედლების ამოყვანაზე მუშაობენ. ობიექტზე სულ 26 კაცია დასაქმებული. როგორც აქ გვითხრეს, ხშირია შეფერხებები ცემენტის, აგურის ბლოკების, ლითონის, არმატურის მიწოდებაში. ამ კომპლექსში შემავალ მასწავლებელთა 12 ბინიანი სახლის მშენებლობა ჯერაც არ არის დაწყებული.

ახალი კომპლექსის მოლოდინში გულრიფშელები ძველს არ არემონტებენ. ასე რომ, ბაბუშერის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს კვლავ ამ ძველ, უვარგის კოტეჯებში მოუხდებათ ახალი სასწავლო წლის დაწყება.

სამაგიეროდ, იმედიანად ეგებებიან ახალ სასწავლო წელს ამავე რაიონის ვარჩის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. აქ შენდება ახალი, კეთილმოწყობილი სკოლა 464 მოსწავლისათვის. მშენებლობას №33 მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი დ. დარახველიძე, სამუშაოთა მწარმოებელი ზ. დემურია) წარმართავს. ამჟამად აქ მიმდინარეობს მოპირკეთების, იატაკის დაგების სამუშაოები. ერთი შეხედვით, საქმე ცუდად არ მიდის, შესრულებული სამუშაოების ხარისხიც კარგია, მაგრამ ადგილზე დათვალიერებისას დავრწმუნდით, რომ მშენებლობის დროულად დამთავრება საეჭვოა. სკოლის მთავარი კორპუსის გვერდით, პროექტის მიხედვით, შენდება სპორტული დარბაზი. მის მშენებლობას კი მხოლოდ ახლა შეუდგნენ.

სოფელ ფშაფის საშუალო სკოლის ახალი, ორსართულიანი კორპუსის მშენებლობა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. ზიზილიანი) სახსრებით ხორციელდება. ჩანს, გულრიფშის რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ (თავმჯდომარე გ. ბახტაძე, სამუშაოთა მწარმოებელი პ. თოდუა) თავიდანვე მონდომებით მოჰკიდა ხელი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს და შედეგიც სახეზეა: მშენებლებს უკვე თითქმის დაუმთავრებიათ მოპირკეთების [illegible] და ახლა [illegible], სააქტო დარბაზში, სასადილოში, სახელოსნოში იატაკს აგებენ, [illegible] ამონტაჟებენ. [illegible] ხარისხიანად არის შესრულებ[illegible]. მშენებლებმა დაგვარწმუნეს, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს პირველი სექტემბრისთვის ჩააბარებენ ახალ სკოლას.

დათვალიერების დღეს ვერ ვნახეთ სკოლის დირექტორი სერგო ლომიძე, რომელიც ამ მშენებლობაზე ლამის ათენ-აღამებს. გვითხრეს, თბილისში გაემგზავრა სკოლისთვის ახალი მერხებისა და სხვა მოწყობილობის ჩამოსატანად.

გაცხოველებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის გუდაუთის რაიონშიც. მაღალმთიან სოფელ ზვანდრიფშში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საშუალო სკოლის მშენებლობა. ამ სამუშაოებს ტრესტ „აფხაზმშენის“ №144 მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი ი. სამანჯია, მთავარი ინჟინერი ს. სარსანია) აწარმოებს. მშენებლობას ნიადაგ თავს დასტრიალებს სკოლის ახალგაზრდა დირექტორი ჯ. გაბუნია. ამ მშენებლობაზე (სკოლა სოფლის ცენტრში, ყველაზე მაღალ ადგილზე შენდება), ჯერ კიდევ გვარიანი სამუშაოებია დარჩენილი: სანტექნიკა, გათბობა, ელექტრომომარაგება. იმ დღეს მშენებლობაზე გუდაუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ლაკობა დაგვხვდა, რომელიც მშენებლებთან ერთად წყვეტდა სკოლისათვის სასმელი წყლის მიწოდების საკითხს.

მართლაც რომ, ჩინებული აზრი დაებადათ ამ რამდენიმე წლის წინათ სოხუმში. დადგინდა, გაეახალგაზრდავებინათ და გაეფართოვებინათ ქალაქის ერთ-ერთი უძველესი სასწავლებლის, შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის შენობა. სამი წლის წინ შეუდგნენ კიდეც 784 მოსწავლისათვის სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-მიშენების სამუშაოებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მშენებლობა თავიდანვე გაჭიანურდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ეს სამუშაოები ჯერ სხვა მშენებელმა ორგანიზაციამ დაიწყო, ხოლო 1987 წლიდან კი ის ტრესტ „აფხაზაგრომშენის“ გულრიფშის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ (უფროსი ვ. ქვაჩახია, მთავარი ინჟინერი რ. შულაია, სამუშაოთა მწარმოებლები რ. ჩაკვეტაძე, ტ. დარასელია) ჩაიბარა. მშენებლებმა ბევრი რამ იღონეს ამ უკანასკნელ ხანს იმისათვის, რომ ჩამორჩენა დაეძლიათ. უკვე აშენებულია ორი დიდი სამსართულიანი კორპუსი, სადაც ახალი სასწავლო წლისათვის უნდა განლაგდეს 36 საკლასო ოთახი, კაბინეტ-ლაბორატორიები, ვრცელი სპორტული დარბაზი, ხოლო 1989-1990 სასწავლო წლისათვის აშენდება მესამე დიდი კორპუსი, სადაც მოთავსდება სააქტო დარბაზი, საცურაო, სასადილო და სხვა დამხმარე სათავსოები.

ახლა დასასრულს უახლოვდება მოპირკეთების სამუშაოები, იატაკის დაგება, მაგრამ სრული ფრონტით სამუშაოების შესრულებას აფერხებენ სანტექნიკოსები, რომლებიც დღემდე არ ჩანან სამშენებლო ობიექტზე. აქ ჯერ არ დაწყებულა გათბობის, წყალგაყვანილობის, სანტექნიკური კვანძების სამონტაჟო სამუშაოები. გარდა ამისა, დღეისათვის ჯერ კიდევ გარკვეული არ არის, თუ საიდან მიიღებს სკოლა გათბობას, ქალაქის რომელიმე საქვაბიდან თუ ადგილზე აშენდება გათბობის საკუთარი კვანძი. ვაი თუ სკოლა მომავალ ზამთარს, ისე როგორც შარშან, კვლავ მოუმზადებელი შეხვდეს?..

დღეს ამ სამშენებლო მოედანზე სამოცზე მეტი კაცი მუშაობს, მაგრამ მათ აშკარად აკლიათ ქალაქის მესვეურთა ყურადღება. მშენებლებმა შემოგვჩივლეს [illegible] და [illegible] ყოველდღიურად 2-3 საათს ეკარგებათ. ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ მშენებლებისათვის, ადრე დილიდან გვიან სალამომდე დაძაბულად რომ შრომობენ, კვების საკითხი მოეგვარებინათ?

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ხელი შევუწყოთ მშენებლებს. სექტემბერი შორს როდია!

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

დიაგნოზს სვამს ანგიოგრაფი

ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში დადგმული ახალი სადიაგნოზო აპარატურა საშუალებას იძლევა მაქსიმალური სიზუსტით გამოვავლინოთ კარდიოლოგიური დაავადებანი და სისხლძარღვთა ანომალია.

ანგიოგრაფი — ასე ეწოდება მანქანას, რომელსაც შეუძლია „ჩაიხედოს“ პაციენტის ორგანიზმში, მოგვცეს მისი გამოსახულება ეკრანზე და კომპიუტერის საშუალებით დასვას დიაგნოზი.

— გამოკვლევა ანგიოგრაფის საშუალებით ხორციელდება სწრაფად და უმტკივნეულოდ,— განმარტა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თენგიზ ბაქრაძემ, — საკმარისია მხოლოდ შევიყვანოთ პაციენტის ვენაში კონტრასტული სითხე და მივცეთ მანქანას მითითება, თუ რომელი ორგანოები გამოიკვლიოს და რა პოზიციაში გადაიღოს ისინი. ანგიოგრაფი, რომელიც, სხვათა შორის, ჯერჯერობით ერთადერთია რესპუბლიკაში, აბსოლუტურად საიმედოა და აქ შეცდომა გამორიცხულია. ბავშვთა საავადმყოფოს პირობებში ანგიოგრაფი ასი პროცენტით არ იქნება დატვირთული. ეს კი საკმაოდ ძვირადღირებული ტექნიკაა; ამიტომ ვაპირებთ იგი იჯარით მივცეთ სხვა სამკურნალო დაწესებულებებს იმ საათებში, როცა საავადმყოფო არ ისარგებლებს ამ აპარატურით.

▼▼

უკანონობის აღსაკვეთად

როგორ აღვკვეთოთ უშრომელი შემოსავლის წყაროები, უფაქტურო ოპერაციები, აღურიცხავი ნედლეულის მარაგის შექმნა, ცრუმაგიერი პირებისათვის ხელფასის დარიცხვა — ამ საკითხებზე ჰქონდათ სჯა-ბაასი რესპუბლიკის ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების შეხვედრაზე, რომელიც მოეწყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ინიციატივით.

საქართველოს სტატსკომის მონაცემებით შარშან დატაცებისა და გაფლანგვის საერთო თანხამ 108 მილიონ მანეთს გადააჭარბა. არ აღმოფხვრილა მატერიალური და ფულადი სახსრების უკანონო ჩამოწერა, ანგარიშგების დამახინჯება.

მრავალი კოოპერატივი ნამდვილად ამართლებს მათზე დამყარებულ იმედებს, მაგრამ ამასთან ხდება სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ობიექტების ხელმძღვანელებთან დანაშაულებრივი კავშირის დამყარების ცდებიც, რათა მიიღონ ნაქურდალი ნედლეულით, პროდუქტებით, სხვადასხვა მასალით მომარაგების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ზოგიერთი კოოპერატივი მალავს თავის რეალურ შემოსავალს.

გზა გადავუკეტოთ ნეგატიურ მოვლენებს — ასეთი იყო შეხვედრის მონაწილეთა საერთო აზრი.

▼▼

ახალი სკოლა

ჭიათურა. სულ ახლახან ჭიათურის №8 სამშენებლო ტრესტის მე-6 სამმართველომ დაამთავრა ახალი საშუალო სკოლის აგება სოფელ ზოდში. მშენებლებმა ეს ობიექტი ერთი თვით ადრე ჩააბარეს.

სკოლა განკუთვნილია 216 მოსწავლისათვის, აქვს კეთილმოწყობილი კაბინეტები, სპორტული დარბაზი, სასადილო, ლაბორატორია, დამხმარე ნაგებობები.

კონტაქტები, თანამშრომლობა

სოხუმური „ქსეროქსი“

ახალი პირგადასაღები აპარატების გამოშვება დაიწყო სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკამ“. ეს შესაძლებელი გახდა სოხუმელებისა და ინგლისის ფირმა „რენკ ქსეროქსის“ სპეციალისტების ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად.

სიახლე შეიქმნა „ქსეროქს 1012“ უკანასკნელი მოდელის ბაზაზე. იგი გამოირჩევა პირის გადაღების საუკეთესო ხარისხითა და საიმედო მუშაობით.

გაერთიანება განაგრძობს სხვა პროდუქციის წარმოების ზრდასაც: მომხმარებელთა შორის დიდად პოპულარულია „სოხუმის“ მარკის ფლომასტერები.



სურათზე: საამქროში არიან გამმართველები რეზო ბალათურია, ვალერიან სორდია და ამწყობი ზეინკალი ჯამბულ ხანგულია.
საქინფორმის ფოტო.

სოვნა

ჩვენს კალენდარში 12 აგვისტოს ფურცელზე აღნიშნულია ერთი სამახსოვრო თარიღი — გურამ ასათიანის 60 წლისთავი. გურამ ასათიანის სიკვდილის შემდეგ განვლილმა რამდენიმე წელმა კიდევ უფრო მკაფიოდ გვაგრძნობინა, როგორ ამშვენებდა მისი ლიტერატურული და პიროვნული იერი ჩვენს მწერლობას. სწორედ ამ განუმეორებელ იერს წარმოგვისახავს ზაზა აბზიანიძის წერილი „უკანასკნელი თვალმიდევნება“, რომელიც ბოლოთქმად ერთვის გურამ ასათიანის წერილების ახლახანს გამოცემულ კრებულს „საუკუნის პოეტები“.

უკანასკნელი თვალმიდევნება



გურამ ასათიანს გამორჩეულად მოსწონდა ერთი ფილმი — ფორმანის „გუგულის ბუდე“ — ჩვენს ეკრანებზე ეს ფილმი გადიოდა სათაურით „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ — წერს კიდეც ერთგან ამის შესახებ. ახლა, როდესაც მინდა ფანქრის ერთი მოსმით მოვხაზო მისი სილუეტი, მისი ადგილი და როლი ჩვენს ლიტერატურულ და ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორედ „გუგულის ბუდის“ მთავარი გმირი მაგონდება და ვფიქრობ, რომ შესაძლოა თვით გურამ ასათიანიც, რაღაც მეექვსე გრძნობით ჩამწვდარი იყო ამ შინაგან მსგავსებას. აქ არ მინდა რაიმე ღრმააზროვანი მინიშნება დაინახოთ და იფიქროთ, რომ ავადმოხსენიებული „მდორე ოცწლეული“ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მაინცდამაინც საგიჟეთის ასოციაციას ჰბადებდა. რაღა თქმა უნდა, არა. თუმცაღა, საკუთარ თავთან მართალი რომ ვიყო, უნდა დავუმატო, რომ დირექტივების, აკრძალვებისა და მუქარების მთელი წყება, რომელიც ასეთი სისხლის ფასად უჯდებოდა ყოველ ჩვენთაგანს, სხვაზე მეტად კი გურამ ასათიანს (იმიტომაც, რომ იგი მდინარების წინაამდეგ მოცურავდა და იმიტომაც, რომ მისი შემოქმედების აქტიური წლები სწორედ ამ ოცწლეულში მოექცა), დღეს უკვე ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფად აღიქმება.

რაღაც უხილავი მაგნეტიზმით გურამი აერთიანებდა სულ სხვადასხვაგვარ ადამიანებს და ამ, სხვათათვის განკუთვნილ იმედს (ზოგჯერ ილუზიას), ხალისს, ხიბლს ასხივებდა ყოველი მისი ჟესტი, მოძრაობა თუ სიტყვა. მარტო გურამს შეეძლო ჩვენგან მალულად განეხორციელებინა მორიგი იდეა, რომლის ერთადერთი მიზანი იყო ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას ფერადოვნება და ხალისი შემატებოდა და ზუსტად ისევე, როგორც ამას ნიკოლსონი აკეთებს „გუგულის ბუდეში“, ჩვენდა დაუკითხავად წავეყვანეთ ზღვაზე, ავეყვანეთ გემბანზე და უკვე შუა ზღვაში, ეშმაკურად მოციმციმე მზერაში დამჩნეოდა ის, რასაც ჩვეულებრივ არასოდეს არ იტყოდა — რომ ბედნიერი იყო ორგვარად — იმითაც, რომ ამ უცნაური გემის კაპიტანი იყო და იმითაც, რომ ასეთი ხალისიანი, უდარდელი, დამეგობრებული და საიმედო ეკიპაჟი ჰყავდა. „გუგულის ბუდეს“ კიდევ იმიტომაც ვიხსენებ, რომ ბევრი სხვა კაპიტანისაგან განსხვავებით, გურამ ასათიანს, მიუხედავად იმ ეგოცენტრიზმისა, რომელიც მეტნაკლებად ყველას გვაქვს და მასაც ჰქონდა, ვერ შეამჩნევდით გაფუყული თვითკმაყოფილების ნატამალსაც კი.

ბოლო რამდენიმე წელი გურამ ასათიანს არ ასვენებდა ქართული ეროვნული სულისა და ხასიათის ამოცნობის სურვილი. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები იყო. ვიცით ისიც, რომ ამ ცნობისწადილის ხორცშესხმა — „სათავეებთან“ დაიწერა თუ არა, გურამ ასათიანის ცხოვრების მდინარებამ ავისმომასწავებლად იცვალა ფერი...

დღეს, როდესაც გურამ ასათიანის ფიგურა მკაფიოდ გამოიკვეთა ჩვენს თვალსაწიერზე, გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით გურამ ასათიანი იყო ის პიროვნული ფენომენი, რომელიც ქართული ხასიათის საიდუმლოთა ამოსაცნობად ერთ-ერთ ყველაზე ნიშანდობლივ და მეტყველ მაგალითად გამოდგებოდა.

არიან ადამიანები, რომელთა პროფესიული და ზნეობრივი ზეგავლენის სფერო არ შემოიფარგლება კოლეგებისა და მეგობრების ვიწრო წრით, რომელთა ცხოვრების ნირს, არსებობის შინაგან კანონს, ლოგიკას, შეცდომებსაც კი იმგვარი რეზონანსი აქვთ, რომ ამ შინაგანი კანონის წვდომა მეგობრული ინტერესების ფარგლებს სცილდება.

პირველი და უმთავრესი, რაც გურამ ასათიანმა შესძლო —ეს იყო ცხოვრებისეული და ლიტერატურული ეთიკის გათანაბრება, ერთ სიბრტყეზე გადატანა. კრიტიკოსის ძნელ, მრავალგზის ჩრდილმიყენებულ პროფესიას მან ღირსება შემატა, რადგან დაამტკიცა, რომ ეს უმადური ხელობა დიდ ლიტერატურას მიეკუთვნება, თუკი კრიტიკოსში კეთილშობილი სული და იერი, გემოვნება და ალღო, განათლება და ცნობისწადილი, ინტელიგენტის ელასტიურობა და პროფესიონალის პრინციპულობა არის გაერთიანებული. ამ ბედნიერი შეხამების მეოხებით გურამ ასათიანმა შესძლო წარუშლელი კვალი დაემჩნია ქართული მწერლობისათვის. არც მხოლოდ თავისი წიგნებითა და გამოკვლევებით, არც მხოლოდ საჯარო გამოსვლებითა და პირადი მომხიბლაობით — ყოველივეთი ერთად მან ახალი საზომი შემოიტანა ჩვენს ლიტერატურულ და ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაძლოა, ამ მაგალითმა ბევრი მისი ანტიპოდი რაინდად ვერ გადააქცია, მაგრამ სხვათა დასანახად მაინც შესრულებინა ესა თუ ის რაინდული რიტუალი. გურამ ასათიანის ეროვნული კონცეფციის თანახმად კი, ეს „თამაშიც“ ქართული ბუნების სიღრმეებიდან მოდიოდა და ამგვარად ანგარიშგასაწევი და ყურადსაღები იყო.

იმისათვის, რომ არაქართველ კაცს გაეგო, თუ [illegible] ახა დღემდე თავში ქართველმა ერმა, როგორია ამ ერის საუკეთესო გარეგნული და შინაგანი თვისებები, როგორი დაუდგრომელი ვნებათაღელვა და ფარული სიღრმე მონაცვლეობს ქართულ ხასიათში — საკმარისი იყო გურამ ასათიანის გაცნობა.

მრავალი და მრავალი ჩვენი ახლობელი თუ შორეული მეგობარი, მეზობელი, კოლეგა აღტაცებითა და სიყვარულით შესცქეროდა გურამ ასათიანს მაშინაც, როდესაც მას ჯერ კიდევ ლევან ასათიანის ვაჟად წარადგენდნენ, მაშინაც, როდესაც მის სახელს ნიჭიერი ახალგაზრდა კრიტიკოსის ეპითეტი ემატებოდა და მაშინაც, როდესაც იგი ერთი სანიმუშო ჟურნალის რედაქტორი და ქართველ კრიტიკოსთა კორპორაციის აღიარებული ლიდერი გახდა.

გურამ ასათიანი თავდაუზოგავად ცხოვრობდა; მისი ორმოცდათოთხმეტი წლით ჩაჭრილ კალაპოტში რამდენიმე მდორე სიცოცხლე ჩაეტეოდა; იგი შედარებით ცოტას წერდა, მაგრამ მისი წიგნებიც ისევე იყო შინაგანად დამუხტული, როგორც მისი ცხოვრება.

გურამ ასათიანი რაინდული წესით ცხოვრობდა; რაინდად დარჩა იგი ავადმყოფობის დროსაც, როდესაც, უკვე განწირულს, საიდანღაც მაინც ეძლეოდა ძალა მისი ჩვეული ღიმილის, ხუმრობისა თუ კომპლიმენტისათვის.. არ ვიცი, ახსოვდა, თუ გაუცნობიერებლად ჰქონდა შეთვისებული მისი საყვარელი ავტორის, მონტენის სიტყვები — „თუ კი შევძლებ, შევეცდები, რომ ჩემმა სიკვდილმა არაფერი ისეთი არ თქვას ჩემს შესახებ, რაც თავის დროზე სიცოცხლეს არ უთქვამს“.

ცნობილია ისტორია ერთი პატარა ჰოლანდიელი ბიჭისა, რომელიც ზღვის ნაპირზე, კაშხალთან თამაშობდა და უეცრად შენიშნა, რომ კაშხლიდან წყალი მოჟონავდა. ბიჭი პატარა კი იყო, მაგრამ უმალ მიხვდა, რა საფრთხეც ემუქრებოდა მის მხარეს, თითით გაჭედა ნასვრეტი და კარგა ხანს იდგა ასე, ვიდრე უფროსები არ მოვიდოდნენ... შემდეგ ჰოლანდიელებმა ამ პატარა ბიჭს ძეგლი აუგეს.

როდესაც უკანასკნელად მივადევნებ თვალს გურამ ასათიანის ნაღვაწს, ის პატარა ბიჭი მახსენდება და ვფიქრობ, რომ გურამიც, კარგა ხანს ასევე ფეხმოუცვლელად იდგა ლიტერატურის გზარგაჩენილ ჯებირთან.

ჩავთვალოთ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გამოცემული ყოველი მისი წიგნი, ისევე, როგორც მისდამი მიძღვნილი ყოველი წერილი თუ მოგონება სიყვარულისა და მადლიერების ისეთივე გამოხატულებაა, როგორც პატარა ჰოლანდიელისათვის დადგმული ძეგლი.

ზაზა აბზიანიძე.

ჩვენი იურიდიული სამსახური

ინდივიდუალური შრომის სიკეთე

XIX საკავშირო პარტკონფერენციის მასალებში კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) და კოოპერაციის კანონებთან ერთად, შეფასებულია ბოლო დროის სამართალშემოქმედების დიდ ნიშანსვეტად. ამ სამართლებრივ აქტს საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის დებულება და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები. მისი მიზანია უზრუნველყოს სახალხო მოხმარების საქონლით საბჭოთა ადამიანების უფრო სრულად დაკმაყოფილება, მომსახურების სფეროში საქმიანობის გაუმჯობესება, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში იმ დაუსაქმებელ მოქალაქეთა ჩაბმა, რომლებსაც შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში.

რედაქციის ფოსტა მოწმობს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა საკმაოდ არ იცნობს კანონის ძირითად დებულებებსა და მოთხოვნებს. ამ თემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს შალვა ჩიქვაშვილს ესაუბრება ჟურნალისტი ოთარ კაციტაძე.

ბევრს ჰგონია, თითქოს კანონის მიღებამდე ეს საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში აკრძალული ყოფილიყოს. ამიტომ, ვფიქრობ, სწორი იქნება დიალოგი იმით დავიწყოთ, რომ მკითხველებს გავაცნოთ, თუ როგორ იყო მოწესრიგებული კანონმდებლობით ინდივიდუალური შრომა წარსულში და, თუ გნებავთ, უახლოეს პერიოდშიც.

ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას საბჭოთა კანონი არასოდეს არ კრძალავდა. ჩვენი სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე ეს ნებადართული იყო, ვინაიდან სულაც არ ეწინააღმდეგებოდა მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის წესს. დროდადრო, მაგალითად, ნეპის პერიოდში, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა, ზოგჯერ კი სხვადასხვა მიზეზით, უფრო ვოლუნტარისტული მოსაზრებით, დაუსაბუთებლად იზღუდებოდა.

ახალი კანონის მიღებამდე მოქალაქეთა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ზოგადად აწესრიგებდა სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-17 მუხლი, ფაქტობრივად მის საფუძველზე მიღებული სხვადასხვა ნორმატიული აქტი. სამართლებრივად ყველაზე სრულად იყო რეგულირებული კუსტარულ-ხელოსნური რეწვა. მას საფუძვლად ედო მმართველობის უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის დამტკიცებული დებულება „მოქალაქეთა კუსტარულ-ხელოსნური რეწვის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქცია მისი გამოყენების თაობაზე. ზოგიერთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ნებადართული იყო საუწყებო ნორმებითაც, რომლებიც საგრძნობლად მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებდა დღევანდელ მოთხოვნებს. პრაქტიკაში ვხვდებოდით ამ საქმიანობის ისეთ ფორმებსაც, რომლებიც სამართლებრივად არც იყო მოწესრიგებული. ამას, აგრეთვე კანონმდებლობაში არსებულ სხვა ხარვეზებს, ზოგჯერ წინააღმდეგობებსაც კი, იქამდე მივყავდით, რომ მოქალაქეთა დიდ ნაწილს, რომელიც პატიოსანი შრომით დამატებით შემოსავალს იღებდა, საზოგადოება უსაფუძვლოდ კიცხავდა. ხშირად ასევე დაუსაბუთებლად ილახებოდა ამ კონტინგენტის უფლებები, მათ შორის სოციალურიც. ეს აფერხებდა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, რამაც განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ტრადიციული ხალხური რეწვის სრულყოფასა და განვითარებას. ხელოსნობის ბევრი დიდმნიშვნელოვანი დარგი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თანდათანობით დავიწყებას მიეცა. აშკარა გახდა, რომ აუცილებელი იყო ამ საქმის სამართლებრივი მოწესრიგება. ამასთან, მის ეფექტიანობას საფუძვლად უნდა დადებოდა არა აკრძალავი ნორმები, არამედ გამიზნული ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა, რომელიც ნამდვილად ხელს შეუწყობდა იმას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენას სოციალურად სასარგებლო ჩვევები ჩამოყალიბებოდა.

ამ კანონის პრაქტიკული განხორციელება მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. როგორია მისი ძირითადი პრინციპები და რამდენად მყარია გარანტიები, რომ იგი მთელი მოცულობით ამოქმედდება.

ცნობილია, რომ ყოველი სიახლის შემოღება სიძნელეების გადალახვას მოითხოვს. გამონაკლისი არც ეს კანონია, რომელმაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოიტანა დიდი ხნის მანძილზე მყარად შეთვისებული და დანერგილი სტერეოტიპების დიამეტრულად საპირისპირო ახალი ეკონომიკური, სოციალური და მორალური ნორმები. კანონს ახლა ყველგან დიდი ყურადღებით სწავლობენ. იურისტები, სოციოლოგები, ეკონომისტები სვადასხვანაირად განმარტავენ, ხალხი კი პრაქტიკულადაც იყენებს. ზოგი მოლოდინის პოზიციას არჩევს, ელოდება რას მოგვცემს მისი გამოყენების პრაქტიკა. დასამალი არ არის, რომ ზოგი, საბჭოთა კავშირშიც კი, ამ საქმიანობის სფეროს გაფართოებას აფასებს, როგორც უარის თქმას სოციალიზმის პრინციპებზე.

ზოგიერთი ბურჟუაზიული „წინასწარმეტყველი“ იმასაც კი ამბობს, ეს თავის დროზე მოქმედი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის სახეშეცვლილი ფორმაა. მათ ავიწყდებათ ან სულაც არ იციან, რომ მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ, სახალხო მეურნეობაში მბრძანებლური მაღლობების შენარჩუნებასთან ერთად, დაუშვა კაპიტალისტური სექტორის არსებობა. სხვა ისტორიულ პირობებში შემოღებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა არსებითი ცვლილებების შეტანას სახელმწიფოს ეკონომიკაში, რაც არ ითქმის კანონზე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფოს დღევანდელი ცხოვრება, ეკონომიკა მთლიანად და მტკიცედ უარყოფს ჩვენი მტრების, ბურჟუაზიული „სოვეტოლოგების“ ამ შეხედულებათა უნიადაგობას და გვიჩვენებს, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიღებული ეს კანონი ემსახურება არა კერძო მესაკუთრეობის აღდგენას, არამედ სოციალიზმის პრინციპების სრულყოფას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამ კანონის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

პირველი, უზრუნველყოფს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გამოყენებას საზოგადოების სასარგებლოდ ისე, რომ მან არ გამოიწვიოს შრომითი რესურსების დენა საზოგადოებრივი წარმოებიდან და ამავე დროს ხელს უწყობს მოსახლეობის გარკვეული კონტინგენტის დასაქმებას;

მეორე, ხსნის ყოველგვარ დაუსაბუთებელ შეზღუდვას ისეთ ინდივიდუალურ შრომაზე, რომლებიც სასარგებლოა ხალხისათვის და ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას საქონლითა და მომსახურეობით;

მესამე, უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და ანაზღაურება მთლიანად შეესაბამებოდეს მოქალაქეთა დახარჯულ შრომას და სოციალური სამართლიანობის [illegible];

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვას იძლევიან სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, ქალაქში შემავალი რაიონული, აგრეთვე სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოქალაქის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იგი გაიცემა არა უმეტეს ხუთი წლის ვადით. ნებართვაზე უარის თქმა მოქალაქემ შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ აღმასკომში, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა. ნებართვის გაცემა არ არის საჭირო, თუ პირი წელიწადში ერთხელ ეწევა კუსტარული ნაკეთობის რეწვას ან მომსახურებას და მისგან მიღებული შემოსავალი არ აღემატება მუშა-მოსამსახურეთა ყოველთვიური ხელფასის დაუბეგრავ მინიმუმს — 70 მანეთს. სხვა შემთხვევაში დგება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის გაცემისათვის. იგივე წესებია დაწესებული იმ საქმიანობის ნებართვის მისაღებად, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული პროფესიებისა და ჩვევების სწავლებასთან და მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამის განათლებასაც (ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოთხოვნები მედიცინის სფეროში განსაზღვრულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1987 წლის 4 მარტის ბრძანებით). მოქალაქე, რომელმაც მიიღო ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან სამხატვრო საბჭოს ნებართვა, ვალდებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საფინანსო განყოფილებაში (სამმართველოში) მიიღოს სარეგისტრაციო მოწმობა, ან შეიძინოს პატენტი, რომელთა მოქმედების ვადად ითვლება ერთი კალენდარული წელი, მაშინაც კი, თუ ნებართვა უფრო ხანგრძლივი დროით არის გაცემული. თუ ნებართვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია, მაშინ სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი იმავე ვადით გაიცემა.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ან პირის სხვა დასახლებულ პუნქტში გადასვლის შემთხვევაში სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი უნდა ჩაბარდეს იმ საფინანსო ორგანოს, რომელმაც ეს დოკუმენტები გასცა. სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის სხვა პირისთვის გადაცემა აკრძალულია.

მოქალაქეებს, რომლებიც კუსტარულ-ხელოსნურ რეწვას ეწევიან, შეუძლიათ ნაკეთობანი გაასაღონ უშუალოდ ბაზრებში და საკომისიო მაღაზიებში. მათი გაყიდვა შეიძლება როგორც პროდუქციის დამზადების ადგილას, ასევე სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამავე წესით ხდება სამხატვრო და ხალხური რეწვის ნაკეთობათა რეალიზაციაც, იმ ფასებში, რომლებზეც მხარეები შეთანხმდებიან.

მოქალაქეთა დიდ ნაწილს, რომლებსაც სურთ შეუდგნენ ინდივიდუალურ შრომას, აინტერესებთ, დაბეგვრის წესი, მისი ოდენობა ხომ არ შეუშლის ხელს ამ საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლას. თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვით გააცნოთ გაზეთის მკითხველებს შემოსავლის აღრიცხვის წესი და გადასახადის ოდენობა.

მოქალაქე, რომელიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევა, მოვალეა აღრიცხოს ყველა შემოსავალი და წარადგინოს დეკლარაცია მათ შესახებ, აგრეთვე მთლიანად და დროულად შეიტანოს საშემოსავლო გადასახადი, მის სისწორეს აკონტროლებს სახელმწიფო, მაგრამ ასეთი ზუსტი და დაწვრილებითი კონტროლი ყოველთვის არ ხერხდება, ამიტომ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება პატენტის გაცემა, რომლის მიღებისათვის პირი ავანსის სახით წინასწარ იხდის საზღაურს, რაც ფაქტობრივად იგივე საშემოსავლო გადასახადია.

თუ მოქალაქე პირველად იწყებს ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, იგი დეკლარაციას წარადგენს მუშაობის დაწყების ერთი თვის შემდეგ და სპეციალურ ბლანკში აღნიშნავს, ამ ხნის მანძილზე რა შემოსავალი მიიღო. ეს მონაცემები შესაძლებლობას აძლევს საფინანსო ორგანოებს განსაზღვრონ წლიური შემოსავალი და შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის ოდენობაც. დეკლარაციაც ფაქტობრივი შემოსავლის მიხედვით ივსება და საფინანსო ორგანოც მის შესაბამისად განსაზღვრავს გადასახადს, ამცირებს ან ზრდის მას, ამასთან ინარჩუნებს უფლებას შეამოწმოს მომავალში წარდგენილი დეკლარაციის სიზუსტე.

თუ მოქალაქის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შემოსავალი წელიწადში 3000 მანეთს არ აღემატება, იგი გადასახადს იხდის იმავე ოდენობით, როგორც მუშა-მოსამსახურეები ხელფასიდან. თუ შემოსავალი უფრო მეტია, გადასახადი ორი კომპონენტისგან შედგება: მყარი განაკვეთისა და განსაზღვრული პროცენტისაგან. მაგალითად, თუ შემოსავალი აღემატება სამი ათას მანეთს, გადასახადის ოდენობა შეადგენს 332 მანეთსა და 40 კაპიკს. მას ემატება 20 პროცენტი იმ თანხისა, რომელიც აღემატება 3.000 მანეთს და ა. შ.

სახელმწიფო დაინტერესებულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებით. კანონის შესაბამისად მისი ორგანოები მოვალენი არიან დაეხმარონ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამ საქმიანობას ეწევიან. კონკრეტულად რით უნდა გამოიხატოს ეს?

კანონში არის სპეციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სათანადო დახმარებას მოქალაქეებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან დაეხმარონ ამ მოქალაქეებს ნედლეულის, მასალებისა და სხვა ქონების შეძენაში, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური შრომისათვის. იგივე ითქმის წარმოებული პროდუქციის გამოყენებაზეც. ამას გარდა, ადგილობრივი საბჭოები და საწარმოები იჯარის წესით ამ პირებს ან კოოპერატივებს გადასცემენ არასაცხოვრებელ ნაგებობებს, აგრეთვე აწვდიან აუცილებელ ინფორმაციას. ასეთ დახმარებას პირველ რიგში უწევენ მოქალაქეებს, რომლებსაც დადებული აქვთ ხელშეკრულება საწარმოებთან, აგრეთვე შრომისუნარდაქვეითებულ პირებს.

სსრ კავშირის მთავარი მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს და მის ტერიტორიულ ორგანოებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავალებით უზრუნველყონ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ისინი, ვინც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევა. ნედლეულის, მასალებისა და სხვა ქონების შესაძენად მათ დადგენილი წესით ეძლევათ სესხი ერთი წლით 2.000 მანეთამდე, კრედიტის სარგებლობისათვის წლიური სამი პროცენტის გადახდით. ჩარხების, მოწყობილობის, მცირე მექანიზაციის საშუალებათა და სხვა ქონების შესაძენად გათვალისწინებულია კრედიტის გაცემა სამი ათას მანეთამდე ორი წლის ვადით. მისი დაფარვა იწყება სესხის გაცემიდან შიდი თვის შემდეგ წლიური 2 პროცენტის გადახდით. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს უფლება აქვს ამავე მიზნებისათვის გაზარდოს სესხის ოდენობა 50 პროცენტით და დაფარვის ვადა ექვსი თვით, თუ ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია და დასაბუთებულია შესაბამისი გაანგარიშებით.

რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ სახელმწიფო სოციალური დაზღვევა არა ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან?

მართლაც, ამ მოქალაქეებზე სახელმწიფო სოციალური დაზღვევა არა ვრცელდება. ვფიქრობთ, ეს ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ვინაიდან ინდივიდუალური შრომა ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, სოციალურად სასარგებლოა და მორალურად გამართლებული. ამიტომ სწორი იქნება სპეციალური უზრუნველყოფა გავრცელდეს მოსახლეობის ამ კატეგორიაზეც.

კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე მთავარი საკითხი: რა ზომები გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისას არღვევენ დადგენილ წესებს?

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აკონტროლებენ, თუ როგორ სრულდება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის დადგენილი წესები. შემოწმებისათვის აღმასკომებს შეუძლიათ გამოიყენონ საზოგადოებრიობის კომპეტენტური წარმომადგენლები: დეპუტატები, სახელმწიფო, კოოპერაციული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები.

მოქალაქენი, რომლებიც ამ საქმიანობას ეწევიან, ვალდებული არიან საფინანსო ორგანოების თანამდებობის პირები შეუფერხებლად დაუშვან შესამოწმებლად საცხოვრებელ ან სხვა ნაგებობებში, სადაც შრომობენ. დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის დადგენის და იმ პირთა გამოვლენის შემთხვევაში, რომლებიც აკრძალულ საქმიანობას ეწევიან, საფინანსო ორგანოს თანამშრომელი ადგენს სათანადო ოქმს. თუ დამრღვევი მას ხელს არ მოაწერს, ამის შესახებ კეთდება სათანადო ჩანაწერი, რომელსაც ადასტურებენ მოწმეები ხელის მოწერით. დამრღვევს უფლება აქვს ოქმში შეიტანოს თავისი ყველა შენიშვნა (რატომ არ აწერს ხელს და რაში არ ეთანხმება მის შინაარსს). შედგენილი ოქმი დარღვევის გამოვლენის არა უგვიანეს 10 დღის ვადისა გადაეცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას, რომელსაც უფლება აქვს დამრღვევ პირს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. თანაც, თუ დარღვევა ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც ჰქონდა აღმასკომის ან სამხატვრო საბჭოს ნებართვა, დარღვევის ფაქტი ეცნობება ამ ორგანოებს, საქმიანობის აკრძალვისა და სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის ჩამორთმევის საკითხის განსახილველად. გარდა ამისა, კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს ამ საქმიანობის შედეგად უკანონოდ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევასაც. თუ მოქალაქეს შესრულებული აქვს ერთჯერადი ფასიანი სამუშაო, რომელიც მოცულობითა და ფასით უმნიშვნელოა, ოქმი ადმინისტრაციულ კომისიას არ გადაეცემა.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

არავინ და არაფერია დავიწყებული

● **გაზეთ** „კომსომოლსკაია პრავდის“ 1987 წლის ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „სიაში არ არიან“ საკდესის კორესპონდენტი ე. დეგტიარენკო მკითხველებს მოუთხრობდა, თუ როგორ აღმოაჩინა მან ვაგანკოვოს სასაფლაოზე დავიწყებულ საფლავთა შორის ერთი საფლავის ქვა წარწერით: „ამიერკავკასიის კომკავშირის პიონერს იაკობ ოკოევს. 1902—1924“.

მალე ამის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრნენ საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის მუშაკები. დიახ, ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ წევრის, საქართველოში კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ბორის ძნელაძის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის იაკობ ოკოევის საფლავი სავალალო მდგომარეობაში იყო: გადახრილი საფლავის ქვა ჟამთა სიავისაგან ნახევრად წაშლილი წარწერით, გალეწილი მესერი...

იატაკქვეშა რევოლუციურ საქმიანობას იგი ეზიარა თხუთმეტი წლისა, მოგვიანებით მე-11 არმიის სარდლობამ მას მიანდო სადაზვერვო მუშაობა მენშევიკთა ზურგში. 1920 წელს თბილისის კომკავშირის კომიტეტის სხდომის დროს სპარტაკელი იაშა სხვა აქტივისტებთან ერთად დაapatimრეს და საქართველოდან გაასახლეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი კვლავ აღმოჩნდა ბ. ძნელაძის თანამებრძოლთა შორის.

1922 წელს ოკოევი მოსკოვს მიემგზავრება პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში სასწავლებლად. ორი წლის შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა...

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაგროვა სახსრები სარესტავრაციო-აღსადგენი სამუშაოებისათვის. დღეს საფლავი მოწესრიგებულია, საფლავის ქვა — რესტავრირებული. მალე ახალ მესერსაც შემოავლებენ.

ვეთათბირებით მოსკოვის კომკავშირის ისტორიის მუზეუმს იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეფობა გაუწიონ საფლავებს. საქართველოს სახელოვანი შვილების საფლავების მოძებნაში დახმარებას გვპირდებიან ლენინგრადელი, კიეველი, ბაქოელი კოლეგები, — თქვა საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა მ. ჭანტურიამ.

გარდაიქმნება ტყე-პარკად

● **ქალაქ** თეთრი წყაროს შემოგარენში 30 ჰექტარზე გაშლილი ტყე დიდი ხანია ყურადღებას იქცევს მცენარეთა ჯიშების მრავალფეროვნებითა და... მოუვლელობით. და აი, გადაწყდა მისი ტყე-პარკად გადაქცევა. ამ საქმეს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის რეკომენდაციით ხელი მოჰკიდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა. ივლის-აგვისტოში აქ შრომითს სემესტრს გადიოდა 25 ახალგაზრდა. მათ ბეჯითად იშრომეს ტყის გაკულტურებისათვის, პირობები მოამზადეს მისი პარკად გადაქცევის დამამთავრებელი სამუშაოებისათვის. მომავალში აქ მოეწყობა ლანდშაფტური დაგეგმარება, ტყე-პარკი ქალაქის ნამდვილ მშვენებად, მშრომელთა დასვენების კერად იქცევა. სტუდენტთა მხარდამხარ შრომობდა მათი კონსულტანტი — ბუნების დაცვის საზოგადოების პროპაგანდის განყოფილების გამგე თ. ანთაძე.

მადლობა სოფიიდან

● **„ეროვნული** სამხედრო-ისტორიული მუზეუმის მოამბეში“ (ქალაქი სოფია) გამოქვეყნდა ქართველი ჟურნალისტის ანდრო კარბელაშვილის სტატია „შიპკის ქართველი გმირები“. მასში ასახულია ბულგარეთის მესამე რაზმის ამბავი, რომელსაც ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბულგარელების განმათავისუფლებელი ომის დროს მეთაურობდა მაიორი კ. ჩილიაევი (ჭილაშვილი) და განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შიპკის უღელტეხილზე გააფთრებულ შეტაკებაში.

ამას წინათ ამ მუზეუმის უფროსმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, პოლკოვნიკმა მ. კალონკინმა სოფიიდან თბილისში გამოგზავნა წერილი. იგი მადლობას უხდის ქართველ ჟურნალისტს კ. ჩილიაევის (ჭილაშვილის) ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლისათვის, რომლის სახელი ჰქვია ბულგარეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას.

სიცოცხლის ბოლო წლები კ. ჭილაშვილმა თბილისში გაატარა, სადაც მუშაობდა ქალაქის კომენდატურის შტაბს-კაპიტნად. ცხოვრობდა გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე № 31 სახლში. 1897 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. იქნებ ვიფიქროთ იმაზე, რომ სამახსოვრო დაფა მივაკრათ სახლს, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა შიპკის გმირი, ბულგარელი ხალხის ერთ-ერთი მეგობარი?

ეძებენ „მტაცებლებს“

● **ბორჯომის** ხეობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა კვლევის ობიექტი გახდა. ინსტიტუტის უხერხემლო ცხოველების ლაბორატორიის ექსპედიცია სწავლობდა აქ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ მწერებსა და მოლუსკებს.

— მეცნიერთა გამოკვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის და სატყეო მეურნეობისათვის, — თქვა ლაბორატორიის გამგემ მერი სოხაძემ. — ტყის ჯიშების მავნებელთა ზრდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე „იერიშის“ დაწყების სიგნალია. ახლა ბევრს წერენ მცენარეების, წიწვოვანი ტყეების მავნებელ მწერებთან ბრძოლის ქიმიური მეთოდების ბოროტად გამოყენების შესახებ. მართლაც, საიდუმლო არ არის, რომ მავნებლების მოსპობასთან ერთად შხამქიმიკატები აუნაზღაურებელ ზარალს აყენებენ ფლორას. ამიტომ უპირატესობა ენიჭება მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებს. ჩვენ ვავლენთ მწერების პოტენციურ მტრებს — „მტაცებლებს“, რომლებითაც ვავსებთ ფლორის სასარგებლო დამცველების ნუსხებს.

გარდა ამისა, სპეციალისტებმა კონტროლი დაუწესეს ფაუნის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც გადაშენების საფრთხე შეექმნათ. მიმდინარეობს უხერხემლოთა პოპულაციის აღრიცხვა და ახალ სახეობათა გამოვლინება. ექსპედიციის წევრებმა შეაგროვეს დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ტყისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის პროფილაქტიკური რეკომენდაციების გამომუშავების ბიოლოგიური საფუძველი გახდება.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

„ქვის გუშაგი“.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

აქტუალური ინტერვიუ

ხელმოწერის „ბუმის“ ირგვლივ

როგორ გამოვიწეროთ საინტერესო გამოცემა? ეს პრობლემა, როგორც ჩანს, დღეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა. რევოლუციური გარდაქმნისათვის ჩვენი პარტიის გეზის განსახორციელებლად ბრძოლაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პოზიციის აქტიურობა ყოველთვის იწვევდა და ახლაც, XIX საკავშირო პარტკონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ გაზრდილ ინტერესს იწვევს პერიოდული პრესისადმი. მაგრამ, ვაი, რომ ყველა მსურველი, ხელმოწერის პირველი დღეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვერ შეძლებს მის დაკმაყოფილებას.

რა კეთდება იმისათვის, რომ მაქსიმალურად სრულად გავითვალისწინოთ საბჭოთა ადამიანების სამკითხველო ინტერესები 1989 წელს, მივცეთ მათ შესაძლებლობა მიიღონ ის გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც მათ განსაკუთრებით იზიდავს?

ამის შესახებ საკდესის კორესპონდენტი ესაუბრება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის პირველ მოადგილეს გ. გ. კუდრიავცევს.

— პატივცემულო გენადი, უწინარესად გვიამბეთ, მაინც, როგორია ამ ბოლო სამი წლის მანძილზე მკითხველთა ინტერესის ზრდის დინამიკა?

— დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით — პერიოდულ გამოცემებზე საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებას ...

... მპი შევუდარეთ ქვეყანაში არსებული ქაღალდის ფონდებს, მივედით დასკვნამდე, რომ იგი მთელი რიგი ჟურნალ-გაზეთების ტირაჟების შემდგომი ზრდისათვის საკმარისი არ არის.

დღეს ქაღალდის დამამზადებელი ყველა საწარმო ზღვარზე მუ...

... მოწერის გაფორმებას, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომით კოლექტივებში, ამიტომ ისინი რამდენადმე ნაკლებია კავშირგაბმულობის განყოფილებებში.

დეფიციტის პირობებში საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებში ამ გამოცემების განაწილება საზოგადოებრიობის მონაწილეობით ქმნის პირობებს მეტი სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ მინდოდა აღმენიშნა, რომ გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“, „სოვეტსკაია როსია“, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა, შეგიძლიათ სრულიად შეუზღუდავად გამოიწეროთ. ეს ეხება მთელ რიგ სხვა პარტიულ ჟურნალებსაც.

ხელმოწერა სამ თვეს გაგრძელდება. თუ შრომითს კოლექტივებში ყველაზე არ მოაწერენ ხელს, დარჩენილი ტირაჟები გადაეცემათ კავშირგაბმულობის განყოფილებებს შემდგომი გამოწერისათვის.

... ახლა ნებადართულია ... არმოში, ორგანიზა... ურნეობასა და საბ... ობაში.

გარდა ამისა, ...

...

... ციები ხომ აქტიურად უწევდნენ რეკლამას თავიანთ წლიურ შემოქმედებითს გეგმებს უკვე ხელმოწერის კამპანიის დამთავრების შემდეგ, და როცა მათ გაეცნენ, ათიათასობით მკითხველმა გადაწყვიტა გამოეწერა მეორე თვიდან — თებერვლიდან. როცა ჩვენ ამ ხელმოწერის „ბუმის“ ზრდის ტე...

... ბი 1988 წლის დონეზე რჩება. 41 გამოცემა, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა, ვრცელდება გამომცემლობების მიერ გამოყოფილი ტირაჟების ფარგლებში, მაგრამ აგრეთვე არა 1988 წლის დონეზე დაბლა. ამ გამოცემათა ტირაჟის ძირითადი ნაწილი ხმარდება ხელ...

... საქმეთა მთავარ სამმართველოში ხელმოწერის მიღების პუნქტები. მათ შეუძლიათ გამოწერა გააფორმონ სოიუზპეჩატის საწარმოებშიც.

იმედი გვაქვს, რომ ხელმომწერებს ძალზე მოეწონებათ გამოწერის უნაღდო ფორმა, რომელიც ...

... კორექტივები ხელმოწერისა და ცალობით გაყიდვის მოცულობათა თანაფარდობაში.

— უკვე არის სიგნალები, რომ ადგილებზე არ აღმოფხვრილა პრაქტიკა, როცა გამომწერებს თავს ახვევენ გამოცემებს, რომლებიც მათ არ აინტერესებთ...

... პუბლიკის ... ახალი გამოცე... დასახელება.

მინდა შეგახს... წლისათვის ინ... ლმოწერის მიღ... მიტანით 31 ო... რდება.

ირწმუნა, ექია და აღასრულა!

ქართველი ხალხის მისწრაფებამ და ინტერესმა მაღალი კულტურისაკენ, მისმა ფართო ერუდიციამ და მაღალმა გემოვნებამ ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა დიდებულ მუსიკალურ ფოლკლორშიც.

არავის გავაკვირვებთ, თუ ვიტყვით, რომ არცთუ ბევრია ისეთი ქვეყნები, რომელთაც უცხოთა ისეთი მოძალება განეცადოთ, როგორიც საქართველოს და ქართველობას ერგო წილად, მით უმეტეს მესხეთ-ჯავახეთს.

მესხური სიმღერების მოძებნასა და აღდგენაზე ფიქრით ბევრს გაუთენებია ღამეები, მაგრამ დღეს, როგორც ფართო საზოგადოებრიობისათვის უკვე ცნობილია, ეს წილად ერგო ისევ ...

სპორტის ამბები

ფეხბურთი

ვინ ითამაშებს ნაკრებში

მას შემდეგ, რაც კიევის დინამოელები იტალიის ქალაქ ლივორნოში მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთელთა მინი-საერთაშორისო ტურნირში (აქ აგრეთვე ითამაშებენ იტალიის „ინტერი“, „ბოლონია“ და „ლივორნო“), საბჭოთა ნაკრები დაიწყებს მზადებას ფინეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გასამართავად. ეს შეხვედრა მოეწყობა 17 აგვისტოს ფინეთის ქალაქ ტურკუში. საბჭოთა ნაკრებში ამჯერად მიწვეული არიან: **მეკარეები** — დასაევი („სპარტაკი“), ჩანოვი, **მცველები** — ბესონოვი, კუზნეცოვი, დემიანენკო, ბალტაჩა (ყველანი — კიევის „დინამო“), ზიგმანტოვიჩი (მინსკის „დინამო“), **შუა და თავდასხმის ხაზის მოთამაშენი** — რაცი, ლიტოვჩენკო, ბელანოვი, პროტასოვი, მიხაილიჩენკო, ზავაროვი (ყველანი — კიევის „დინამო“), როდიონოვი („სპარტაკი“), ალეინიკოვი და გოცმანოვი (ორივე მინსკის „დინამო“).

გელზიის ქალაქ შარლეროაში დამთავრებულ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის პირველი მატჩი მოსკოვის „ტორპედომ“ გამართა იტალიის ქალაქ გენუის „სამპდორიასთან“ და დამარცხდა ანგარიშით 0:2. ტორპედოელები მესამე ადგილისთვის შეხვდნენ საბერძნეთის „ჰერაკლის“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. პირველი ადგილი მოიპოვა ადგილობრივმა „სპორტინგმა“, რომელმაც პენალტების სერიით დაამარცხა „სამპდორია“ (ძირითადი დრო — 1:1).

ოსლოში გაიმართა ნორვეგიისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ოლიმპიური ტალღაზე

SEOUL 1988

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა ნელ-ნელა ივსება. უკვე შეირჩა 28 მოცურავე, 10-10 ველოსიპედისტი და მძლეოსანი, 15 ნიჩბოსანი და ა. შ. სულ ამ ქვეყნის 250-მა სპორტსმენმა უკვე მოიპოვა სეულის ოლიმპიადის საგზური. გასარკვევია კიდევ 100 ოლიმპიელის ვინაობა. გფრ-ის სპორტის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ მათი ქვეყნის სპორტსმენები 30 ოლიმპიურ მედალს დაეუფლებიან.

უკვე რიგით მეთორმეტე ოლიმპიადაზე გაემგზავრება 76 წლის უნგრელი იოჟეფ შირი. 1936 წლის ოლიმპიადაზე მან მონაწილეობა მიიღო 100 მეტრზე რბენაში. ომისშემდგომ პერიოდში იგი უკვე მწვრთნელად მოგვევლინა, ახლა კი იოჟეფ შირი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

როგორც ცნობილია, სეულის ოლიმპიადა 17 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე გასტანს. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ეს პერიოდი შეარჩიეს ატმოსფერულ პროცესებზე უკანასკნელი 30 წლიწადის დაკვირვებისა და ანალიზის შედეგების მიხედვით. ამინდის სამსახურის ცნობით, საშუალო ტემპერატურამ შეადგინა 19 გრადუსი სითბო. გარდა ამისა, ამ პერიოდზე უწევს სამი კვირა დღე, რაც ამ ქვეყნის მკვიდრებს მეტ შესაძლებლობებს შეუქმნის ოლიმპიადაზე დასასწრებლად.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. მოსკოვში გრძელდება ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატი. მეთორმეტე ტურში მსოფლიო ჩემპიონის კასპაროვის მეტოქე იყო სმირინი. კასპაროვმა ეს შეხვედრა მოიგო და 8 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამავე ტურში ივანჩუკი ...

... ყის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს.

კალათბურთი. ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა ამ ქვეყნის ნაკრები ანგარიშით 87:86 (40:41).

ცურვა. ქალაქ ოსტინში ...

ტელევიზია — პარასკევი, 12 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ხომალდის საათის საიდუმლოება“. 17.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზურაბ წერეთელი“. 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.05 — მოსწავლეთათვის. ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოშვების საღამო. 18.45 — ხალხური შემოქმედება — „სარედაქციო ფოსტიდან“. 19.15 — განცხადებები. 19.20 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 19.30 — „საუნჯე“. 19.50 — მოამბე. 20.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.55 — მსოფლიოს საოპერო ხელოვნების საგანძური. ჯ. ვერდი. „რიგოლეტო“.

მეორე პროგრამა. 17.40 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.35 — მხატვრული ფილმი „ყველა მონადირეს სურს იცოდეს ...“. 20.25 — ... „მტერო, გეში...“

მოსკოვი

პირველი პროგრამა. ... „120 წუთი“. ... ტელეფილმი ... IX სერია. ... „დედამიწავ!“ ... ახალი ამბები ... 17.55 — ახალი ... ფოლკლორის ფესტივალი. ... 19.00 — ...

საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-28-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 25-82; თელავი — 3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; სიღნაღი — 3-20-77. ახალციხე — 2-03-15.



რედაქციის მისამართი: ტელეფონები:

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14

მისაღები — 93-95-54,

მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06502 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ...